დანართი №3

შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის

ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ზაირა ბერიძე
წევრები:
ბექარ კილასონია
გიორგი მამასახლისი
მაია გრიგალაშვილი
დავით ბიტმალკიშევი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემია

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შპს

საიდენტიფიკაციო კოდი: 405795714

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი დაწესებულების ავტორიზაცია

■ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)

☐ დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

ვიზიტის მიზანი: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 18 მაისის №MES0260000587502 ბრძანებით (ბრძანების ცვლილება-2026 წლის 3 ივნისი-MES 9 26 0000662903) შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის შეფასება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან. ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა მაღალი მიღწევების აკადემიაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ავტორიზაციის განაცხადი, წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ადგილზე გაეცნო დაწესებულების ინფრასტრუქტურას, მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებსა და სასწავლო გარემოს. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები დაწესებულების დამფუძნებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ასევე განხორციელდა პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრული სასწავლო გარემოსა და პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებას ჩამოყალიბებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი ძირითადი მმართველობითი და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი დოკუმენტები, განსაზღვრულია შიდა პროცესები და პასუხისმგებლობები, რაც ქმნის პროგრამების განხორციელების ორგანიზაციულ საფუძველს.

ვიზიტის ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ პროგრამების მნიშვნელოვანი ნაწილი უზრუნველყოფილია შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსებით, ელექტრონული სასწავლო მასალებით, პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო შიდა რეგულაციებითა და პროფესიული განათლების სისტემისთვის დამახასიათებელი პროცედურებით. დადებითად შეფასდა დაწესებულების თანამშრომლობა დამსაქმებლებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან, რომელთა ჩართულობა მნიშვნელოვანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა საკითხები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას. ცალკეულ პროგრამებთან მიმართებით საჭიროებს გადახედვას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება და მისი შესაბამისობა არსებული მატერიალური რესურსის შესაძლებლობებთან. ასევე, ერთ-ერთ პროგრამასთან დაკავშირებით გამოვლინდა პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული ადამიანური რესურსის არასაკმარისი რაოდენობა, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პროგრამის შინაარსის არასაკმარისი ცოდნა და პროგრამის განხორციელების მოდელის ცვლილებასთან დაკავშირებული გარემოებები, რომელთა სრულფასოვანი შეფასება ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ვერ მოხერხდა.

დაწესებულებამ დასკვნის პროექტთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელსაც თან ახლდა შესაბამისობის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი მასალები და შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული ღონისძიებების რელევანტურობა, განხორციელების ვადები და მიღწევადობა. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ განსაზღვრული ღონისძიებები შესაბამისობაშია გამოვლენილ საკითხებთან და მათი განხორციელება 2026 წლის 25 ნოემბრამდე რეალისტური და მიღწევადია. აღნიშნული გარემოება გათვალისწინებულ იქნა საბოლოო შეფასებების განსაზღვრისას. შესაბამისობის გეგმისა და არგუმენტირებული პოზიციის დეტალური შეფასება წარმოდგენილია შესაბამის ინდიკატორებში.

III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

პროგრამის სახელწოდება	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	პროგრამის განხორციელების ადგილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდის ტექნოლოგია და დიზაინი	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში (საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში)	კოოპერაციული	ქ, თბილისი, ა. წერეთლის გამზირი 95 ა.
სპორტის ინფრასტრუქტურა	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში (რამდენიმე მოდულის ფარგლებში)	კოოპერაციული	ქ, თბილისი, ა. წერეთლის გამზირი 95 ა.
Front-End დეველოპმენტი	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ სამუშაო გარემოში	-	ქ, თბილისი, ა. წერეთლის გამზირი 95 ა. / დისტანციური

IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

-

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.1) პსდ-ს მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4) ადამიანური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
მოდის ტექნოლოგია და დიზაინი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სპორტის ინსტრუქტორი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
Front-End დეველოპმენტი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-

V. შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.2 დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის განსახორციელებლად პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკმარისი რაოდენობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის მდგრადი და შეუფერხებელი განხორციელება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.4 დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პროგრამის შინაარსის, მოდულების, სწავლის შედეგებისა და პროგრამის განხორციელების სპეციფიკის სრულყოფილი ცოდნა, რაც აუცილებელია პროგრამის ეფექტიანი კოორდინაციისთვის.

2.4.1.5 დაწესებულებამ, პროგრამის კოოპერაციული სწავლების ფორმით განხორციელების შემთხვევაში, უზრუნველყოს პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობის, პროგრამის განხორციელების მექანიზმებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობა პროგრამის განხორციელების შერჩეულ ფორმასთან.

შენიშვნა *- აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა. გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შეფასება და მათი განხორციელების შესაძლებლობის შესახებ ექსპერტთა მსჯელობა წარმოდგენილია* ***2.2.1 ინდიკატორის აღწერით მიმოხილვასა და ანალიზში****.*

VI. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

I, III, IV და V სტანდარტებთან მიმართებით - მიზანშეწონილია დაწესებულებამ შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების პერიოდული გადახედვის პროცესში უზრუნველყოს მათ შორის შინაარსობრივი, ტერმინოლოგიური და პროცედურული თანხვედრა, ასევე გამოვლენილი ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრა.

1.1.1.2 - მისიის ფორმულირებაში უფრო მკაფიოდ აისახოს დაწესებულების მრავალპროფილური საქმიანობის მიმართულებები და ის მახასიათებლები, რომლებიც მის სპეციფიკურ როლსა და პოზიციონირებას წარმოაჩენს პროფესიული განათლების სისტემაში.

1.2.1.3 - სასურველია დაწესებულებამ გადახედოს სამოქმედო გეგმის ტექნიკურ ნაწილს და უზრუნველყოს აქტივობების, ვადებისა და ინდიკატორების უფრო მკაფიო და ერთგვაროვანი ფორმულირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.2 - სამივე პროგრამის ფარგლებში, მიზანშეწონილია პროგრამის განხორციელების დაწყებამდე დაწესებულებამ უზრუნველყოს ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის პროფესიული განათლების სისტემის, მოდულური სწავლების სპეციფიკისა და სწავლის შედეგებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების მიდგომების შესახებ ინდუქციის (საორიენტაციო) ტრენინგის ჩატარება.

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და მასთან ერთად წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა არგუმენტირებული პოზიცია იმ ნაწილში, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები რელევანტურია გამოვლენილ საკითხებთან მიმართებით და მათი განხორციელება **2026 წლის 25 ნოემბრამდე რეალისტური და მიღწევადია**. აღნიშნულის საფუძველზე, 2.2.1 ინდიკატორთან მიმართებით თავდაპირველი შეფასება „არ შეესაბამება“ შეიცვალა შეფასებით „მეტწილად შეესაბამება“.

არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის დეტალური შეფასება წარმოდგენილია **2.2.1 ინდიკატორის აღწერით მიმოხილვასა და ანალიზში**.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მისია შემუშავებულია შესაბამისი სამუშაო ჯგუფის მიერ, რაც დასტურდება დაწესებულების შიდა დოკუმენტაციით. თავისი შინაარსით მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს და ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, ხარისხიანი პროფესიული განათლების მიწოდებაზე. მისია ითვალისწინებს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებისა და დასაქმების ხელშეწყობას, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და პოპულარიზაციას. მისიის შინაარსი ორიენტირებულია პირის პროფესიული განვითარების, დასაქმების ხელშეწყობისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური ადამიანური რესურსის მომზადებაზე.
2. შპს „საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის“ მისიაა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად საზოგადოებისთვის ხარისხიანი პროფესიული განათლების მიწოდებით კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება და დასაქმება, ასევე, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და პოპულარიზაცია. მისიაში აქცენტი კეთდება პროფესიული განათლების ხარისხზე, დასაქმებაზე ორიენტირებულ სწავლებასა და პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება გეგმავს მრავალპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. აღნიშნულს ადასტურებს ავტორიზაციის ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამები – მოდის დიზაინი, ფრონტ-ენდ დეველოპერი და სპორტის ინსტრუქტორი, რომლებიც სხვადასხვა პროფესიულ სფეროს მოიცავს. წარმოდგენილი პროგრამები ასახავს დაწესებულების მრავალპროფილურ საგანმანათლებლო საქმიანობას და პროფესიული განათლების სხვადასხვა სფეროში საქმიანობის განხორციელებაზე ორიენტაციას. დაწესებულებას ასევე აქვს მოკლევადიანი პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების გამოცდილება, რაც ადასტურებს მის ჩართულობას პროფესიული განათლების სფეროში. ამასთან, შემდგომი განვითარების მიზნით, სასურველია, <u>მისიის ფორმულირებაში უფრო მკაფიოდ აისახოს დაწესებულების მრავალპროფილური საქმიანობის მიმართულებები და ის მახასიათებლები, რომლებიც მის სპეციფიკურ როლსა და პოზიციონირებას წარმოაჩენს პროფესიული განათლების სისტემაში. (განმავითარებელი შეფასება)</u>

3. შპს „საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის“ ხედვა გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და ორიენტირებულია თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოს შექმნაზე, რომელიც ხელს შეუწყობს მსმენელთა პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას, უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდებას და შექმნის უსაფრთხო, ინკლუზიურ და თანასწორუფლებიან სასწავლო სივრცეს. ხედვაში ასახულია მისიის ძირითადი მიმართულებები, მათ შორის ხარისხიანი პროფესიული განათლების მიწოდება, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

   დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ღირებულებები, რომლებიც გამომდინარეობს მისიიდან და ხედვიდან და წარმოადგენს მისი საქმიანობის საფუძველს. აღნიშნული ღირებულებებია: ხარისხი, პასუხისმგებლობა, ინოვაცია, ხელმისაწვდომობა, ინკლუზია და განვითარება. თითოეული მათგანი დაკავშირებულია როგორც საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფასთან, ისე თანაბარი შესაძლებლობების შექმნასა და ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობასთან.

   შესაბამისად, დაწესებულების ხედვა და ღირებულებები ლოგიკურ კავშირშია მისიასთან და წარმოადგენს დაწესებულების საქმიანობის განმსაზღვრელ საფუძველს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაწესებულების წარმომადგენელთა მიერ. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ისინი იცნობენ აღნიშნულ დოკუმენტებს და აცნობიერებენ მათ მნიშვნელობას დაწესებულების საქმიანობის დაგეგმვასა და განხორციელებაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იყო დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და მოსაზრებები. დაწესებულების შიდა დოკუმენტებით განსაზღვრულია მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაცნობისა და გაზიარების მექანიზმები თანამშრომლების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის. აღნიშნული ხელს უწყობს დაწესებულების განვითარების მიმართულებებისა და ძირითადი პრინციპების შესახებ ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას. მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ ხელმისაწვდომია დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს მათ ხელმისაწვდომობას როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებული მხარეებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები;
2. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 6 თებერვლის N 02/01.1 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. სამოქმედო გეგმა;
4. სამუშაო ჯგუფის / პარტნიორი და დაინტერესებული მხარეების შეხვედრების ოქმი;
5. გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.

   დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და მონიტორინგის დებულება“, რომელიც არეგულირებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესს. დოკუმენტით განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ჩართული მხარეები, სამუშაო ჯგუფის ფორმირების წესი, სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპები, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმები, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები.

   დებულების მიხედვით, დაწესებულება სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში იყენებს SWOT ანალიზს, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება სტრატეგიული მიზნები და ამოცანები. სტრატეგიული განვითარების გეგმა მუშავდება შვიდწლიანი ციკლით, ხოლო მის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფუძველზე შემუშავდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ასევე განსაზღვრულია გეგმების განხორციელების მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შედეგების შეფასების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს დაგეგმვის პროცესის სისტემურობასა და ციკლურ ხასიათს.

2. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და მონიტორინგის დებულებით“ განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. დოკუმენტით გათვალისწინებულია სამუშაო ჯგუფის ფორმირება, რომელშიც მონაწილეობენ დაწესებულების წარმომადგენლები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და უკუკავშირის მიღების მექანიზმები.

ინტერვიუს პროცესში დადგინდა, რომ სტრატეგიული განვითარების დოკუმენტების შემუშავებისას დაწესებულება თანამშრომლობდა პარტნიორ ორგანიზაციებთან და ითვალისწინებდა მათ მოსაზრებებს. სამუშაო ჯგუფში ჩართული იყვნენ შესაბამისი სფეროების წარმომადგენლები, რომელთა მონაწილეობა მიმართული იყო როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებისკენ.

ქვეყნის, რეგიონისა და თემის პრიორიტეტების გათვალისწინება იკვეთება წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსსა და შერჩევაში. ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ მოდის დიზაინის პროგრამის დაგეგმვისას დაწესებულებამ გაითვალისწინა მოკლევადიანი პროგრამების განხორციელების პროცესში მიღებული გამოცდილება და გამოვლენილი საჭიროებები. ამასთან, სპორტის ინსტრუქტორის პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო სპორტის სფეროში არსებული მოთხოვნები და დაწესებულების თანამშრომლობა შესაბამის პროფესიულ წრეებთან, მათ შორის სპორტულ ორგანიზაციებთან. აღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია დაინტერესებული მხარეების მოლოდინები და პროფესიული განათლების განვითარების აქტუალური საჭიროებები.

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და მონიტორინგის დებულების“ თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ითვალისწინებს მისიიდან გამომდინარე სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრას, მათი განხორციელების ვადების, პასუხისმგებელი პირების, შესრულების ინდიკატორებისა და მონიტორინგის მექანიზმების განსაზღვრას. დებულებით ასევე განსაზღვრულია, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და ემსახურება სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

წარმოდგენილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს მისიასთან თავსებადი მიზნები, შესაბამისი ამოცანები, აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსები. ასევე განსაზღვრულია აქტივობების განხორციელების ვადები, რაც ქმნის სტრატეგიული და ოპერაციული დაგეგმვის საფუძველს.

ამასთან, სამოქმედო გეგმის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ცალკეული ტექნიკური ხარვეზები აქტივობების ფორმულირებისა და განხორციელების ვადების ასახვის ნაწილში. ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში შესრულების ინდიკატორები საჭიროებს დამატებით დაკონკრეტებას შედეგების გაზომვადობის უზრუნველსაყოფად. განმავითარებელი რეკომენდაციის სახით, სასურველია დაწესებულებამ გადახედოს სამოქმედო გეგმის ტექნიკურ ნაწილს და უზრუნველყოს აქტივობების, ვადებისა და ინდიკატორების უფრო მკაფიო და ერთგვაროვანი ფორმულირება.

<u>ექსპერტები ადასტურებენ, რომ მითითებული რეკომენდაციებს აქვთ განმავითარებელი რეკომენდაციის შინაარსი და დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები;
2. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 06 თებერვლის N 02/01 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და მონიტორინგის დებულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 6 თებერვლის N 02/01.1 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა;
4. სამოქმედო გეგმა;
5. სამუშაო ჯგუფის / პარტნიორი და დაინტერესებული მხარეების შეხვედრების ოქმი;
6. გასაუბრების შედეგები

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რომლებიც რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და მონიტორინგის დებულებით“. დოკუმენტით განსაზღვრულია მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ეტაპები, მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და შესაბამისი რეაგირების პროცედურები, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შეფასების მექანიზმები.

   დებულების თანახმად, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და მათი უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა. ასევე განსაზღვრულია ანგარიშგების, გეგმების გადახედვისა და საჭიროების შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისი ცვლილებების განხორციელების პროცედურები, რაც ქმნის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასების საფუძველს.

ინტერვიუს შედეგებით დადასტურდა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები იცნობენ მონიტორინგისა და შეფასების დადგენილ მექანიზმებს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ქმნის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ფუნქციონირების საფუძველს.

2. „შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და მონიტორინგის დებულების“ თანახმად, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შეფასების შედეგებზე რეაგირების მექანიზმები. დოკუმენტი ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოვლენილი საკითხების ანალიზს, პრობლემების გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირებასა და შესაბამისი რეაგირების ღონისძიებების დაგეგმვას. შეფასების შედეგები წარმოადგენს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გადახედვისა და საჭიროების შემთხვევაში მათში ცვლილებების შეტანის საფუძველს.

დებულებით განსაზღვრულია მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მიღებული ინფორმაციის ანალიზის, პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვის პროცედურები. ასევე, რეგულაცია ითვალისწინებს წლიური ანგარიშის შედეგების საფუძველზე სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების გადახედვის შესაძლებლობას, რაც ქმნის შეფასების შედეგებზე რეაგირების ფორმალურ საფუძველს.

წარმოდგენილი რეგულაციები განსაზღვრავს შეფასების შედეგებზე რეაგირების მექანიზმსა და შესაბამის პროცედურებს, რომლებიც მიმართულია დაწესებულების საქმიანობის შემდგომი განვითარების დაგეგმვისა და გაუმჯობესებისკენ.

3. „შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და მონიტორინგის დებულების“ თანახმად, განსაზღვრულია სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების ანგარიშგებისა და საჯაროობის მექანიზმები. დოკუმენტით დადგენილია სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის, წლიური ანგარიშის მომზადების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურები. ასევე, წლიური ანგარიშის შედეგები საფუძვლად ედება მომდევნო წლის სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიული დოკუმენტების გადახედვას, რაც უზრუნველყოფს დაგეგმვის პროცესის ციკლურობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დებულებით განსაზღვრული მექანიზმები ქმნის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების ფორმირების, განხილვისა და საჯაროობის საფუძველს. ამასთან, ვიზიტის პროცესში დადასტურდა, რომ დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე ხელმისაწვდომია სტრატეგიული და სამოქმედო დოკუმენტები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების საჯაროობის მექანიზმები, რაც შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები;
2. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 06 თებერვლის N 02/01 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და მონიტორინგის დებულება
3. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 6 თებერვლის N 02/01.1 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა;
4. სამოქმედო გეგმა;
5. სამუშაო ჯგუფის / პარტნორი და დაინტერესებული მხარეების შეხვედრების ოქმი;
6. გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისი შიდა რეგულაციები, მათ შორის: „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“, „დისტანციური სწავლების წესი“, „პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ეთიკის კოდექსი“, „პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები“ და პროფესიულ სტუდენტებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებების ნიმუშები.

   წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულების შიდა რეგულაციები არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, შეფასებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და შეფასების შედეგების გასაჩივრების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების, პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. რეგულაციებით ასევე განსაზღვრულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების მხარდაჭერისა და საგანმანათლებლო პროცესში მათი ჩართულობის ხელშემწყობი მექანიზმები.

დოკუმენტებით გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვისა და ინტერესების უზრუნველყოფის შესაბამისი პროცედურები, მათ შორის შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა, პროფესიული სტუდენტის ინფორმირების მექანიზმები, განათლების აღიარების პროცედურები და საგანმანათლებლო პროცესის სხვადასხვა ეტაპზე მხარდაჭერის ფორმები.

შიდა რეგულაციები ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის, ხოლო ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ პროფესიული სტუდენტებისათვის მათი უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობა განხორციელდება ჩარიცხვისა და სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონმდებლობით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და გარანტიების დაცვისათვის აუცილებელი მექანიზმების არსებობა.

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები, რომლებიც ასახულია „პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ეთიკის კოდექსში“, „პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის მექანიზმებში“, პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ და სხვა შიდა რეგულაციებში.

   წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ რეგულაციებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების უფლებები და მოვალეობები, შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმები, ინფორმირების ფორმები, მხარდაჭერის ღონისძიებები და სტუდენტის ინტერესების დაცვის პროცედურები.

   სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმებით გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტებისათვის საორიენტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება, რომლის ფარგლებშიც მათ მიეწოდებათ ინფორმაცია სასწავლო პროცესის, შიდა რეგულაციების, პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ. აღნიშნული საკითხების გაცნობა გათვალისწინებულია ასევე პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულებითა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით.

ინტერვიუს პროცესში დადასტურდა, რომ დაწესებულება პროფესიული სტუდენტებისათვის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების გაცნობას უზრუნველყოფს ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ეტაპებზე.

წარმოდგენილი რეგულაციები და დაგეგმილი მექანიზმები ქმნის საფუძველს პროფესიული სტუდენტების მიერ საკუთარი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის საშუალებების გაცნობისა და გამოყენებისათვის.

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების მარეგულირებელი მექანიზმები, რომლებიც განსაზღვრულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“. დოკუმენტი არეგულირებს შეფასების ფორმებს, შეფასების პროცესის ორგანიზებას, შეფასების შედეგების დაფიქსირებისა და პროფესიული სტუდენტებისათვის გაცნობის წესს.

   წარმოდგენილი რეგულაციების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურაც. რეგულაციით გაწერილია აპელაციის წარდგენის, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები, რაც პროფესიულ სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, კანონმდებლობითა და შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით გაასაჩივრონ შეფასების შედეგები.

   ინტერვიუს პროცესში დადასტურდა, რომ პროფესიული სტუდენტებისათვის შეფასების სისტემისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურების გაცნობა განხორციელდება სასწავლო პროცესის დაწყების ეტაპზე, ასევე სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას შესაბამისი საინფორმაციო და საკონსულტაციო მექანიზმების გამოყენებით.

   ვინაიდან დაწესებულება გადის პირველადი ავტორიზაციის პროცესს და პროფესიული სტუდენტები ჯერ არ ჰყავს, შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმის პრაქტიკაში გამოყენების შეფასება მოცემულ ეტაპზე ვერ ხერხდება. წარმოდგენილი რეგულაციები ქმნის პროფესიული სტუდენტების ინფორმირებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების უფლების რეალიზების საფუძველს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. დაწესებულების შიდა რეგულაციებით დარეგულირებულია პროფესიულ სტუდენტთან სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების საკითხები. წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა ძირითად უფლებებსა და ვალდებულებებს, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ პირობებს, ასევე პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა და სხვა შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარებისა და სხვა შესაბამისი პროცედურები, რაც ქმნის პროფესიულ სტუდენტთან სახელშეკრულებო ურთიერთობის სამართლებრივ საფუძველს.

   წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში ხელშეკრულების გაფორმება გათვალისწინებულია მისი კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესაძლებლობა და შესაბამისი პროცედურები. რეგულაციებით გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გამოყენება კანონმდებლობითა და დაწესებულების შიდა აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში.

   წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება შესაძლებელია პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებების, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, სტატუსის აღდგენის ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების არსებობის შემთხვევაში. ასევე განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული პასუხისმგებელი პირები და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები.

   რეგულაციებით გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტის ჩართულობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში და მისი ინტერესების გათვალისწინება. ვინაიდან დაწესებულება გადის პირველადი ავტორიზაციის პროცესს და პროფესიული სტუდენტები ჯერ არ ჰყავს, აღნიშნული მექანიზმის პრაქტიკაში განხორციელების შეფასება მოცემულ ეტაპზე ვერ ხერხდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი რეგულაციები ქმნის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძველს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 18 თებერვლის N 02/13 ბრძანებით დამტკიცებული სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები;
2. ხელშეკრულების ნიმუშები;
3. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 9 თებერვლის N 02/02 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
4. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 9 თებერვლის N 02/04 ბრძანებით დამტკიცებული „ჩარიცხვის წესი და პირობები“;
5. გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტებისთვის აკადემიური და საკონსულტაციო მხარდაჭერის გაწევას. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ კონსულტაციები შესაბამისი პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისგან. ინტერვიუს პროცესში დადასტურდა, რომ პროფესიული სტუდენტების აკადემიური მხარდაჭერა განხორციელდება როგორც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, ასევე საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური კონსულტაციების ფორმატში.
2. დაწესებულების მიერ შემუშავებული სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ადაპტაციის ხელშეწყობას სასწავლო გარემოსთან. რეგულაციებით გათვალისწინებულია ახალჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზება, რომლის ფარგლებშიც მათ მიეწოდებათ ინფორმაცია სასწავლო პროცესის, შეფასების სისტემის, შიდა რეგულაციების, პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და ვალდებულებების, ასევე არსებული სერვისებისა და მხარდაჭერის შესაძლებლობების შესახებ. წარმოდგენილი მექანიზმები ქმნის პროფესიული სტუდენტების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის საფუძველს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულების შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმები. დოკუმენტებით იდენტიფიცირებულია შესაბამისი პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები, რომელთა ფუნქციებში შედის პროფესიული სტუდენტების ინფორმირება, კონსულტირება და ადმინისტრაციული მომსახურების გაწევა. ინტერვიუს პროცესში დადასტურდა, რომ პროფესიულ სტუდენტებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საკითხების განხილვა და შესაბამისი მომსახურების გაწევა განხორციელდება გონივრულ ვადებში, მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.
4. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ჩართულობას დამატებით და არაფორმალურ აქტივობებში. სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები მოიცავს პროფესიული სტუდენტების ინიციატივების განხილვისა და მხარდაჭერის შესაძლებლობას, ასევე სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურულ, შემეცნებით და პროფესიულ აქტივობებში მონაწილეობის ხელშეწყობას. ინტერვიუს პროცესში დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერა განიხილება სტუდენტური ცხოვრების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად.
5. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფისა და სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღებასა და მის საფუძველზე შესაბამისი სერვისების გაუმჯობესებას. წარმოდგენილი რეგულაციებით განსაზღვრულია უკუკავშირის შეგროვების, ანალიზისა და შედეგების გამოყენების მექანიზმები. ვინაიდან დაწესებულება გადის პირველადი ავტორიზაციის პროცესს და პროფესიული სტუდენტები ჯერ არ ჰყავს, აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში ფუნქციონირების შეფასება მოცემულ ეტაპზე ვერ ხერხდება. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ქმნის პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების პროცესის განხორციელების საფუძველს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 24 თებერვლის N 02/19 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 18 თებერვლის N 02/13 ბრძანებით დამტკიცებული სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები;
3. ხელშეკრულების ნიმუშები;
4. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 9 თებერვლის N 02/02 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
5. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 9 თებერვლის N 02/04 ბრძანებით დამტკიცებული ,,ჩარიცხვის წესი და პირობები";
6. გასაუბრების შედეგები

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები", რომელიც განსაზღვრავს არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტების კარიერული მხარდაჭერის ძირითად მიმართულებებსა და პროცედურებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კარიერული მხარდაჭერა მოიცავს პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორიენტაციის, კარიერული კონსულტირების, პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შესახებ ინფორმირების და დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებებს. დოკუმენტით ასევე გათვალისწინებულია პროფესიული განათლებით დაინტერესებული პირების ინფორმირება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. ინტერვიუს პროცესში დადასტურდა, რომ კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება დაევალება შესაბამის პასუხისმგებელ პირს, რომელიც პროფესიულ სტუდენტებსა და დაინტერესებულ პირებს გაუწევს ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები, რომლებიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლებით დაინტერესებული პირების კარიერული მხარდაჭერის ძირითად მიმართულებებსა და პროცედურებს.

2. "პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების" ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინფორმირების პროცედურები დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ვინაიდან დაწესებულება გადის პირველადი ავტორიზაციის პროცესს და პროფესიული სტუდენტები/კურსდამთავრებულები ჯერ არ ჰყავს, ინდიკატორის შეფასება ეფუძნება წარმოდგენილ რეგულაციებსა და ინტერვიუს პროცესში მიღებულ ინფორმაციას. დოკუმენტით გათვალისწინებულია დამსაქმებელთა ბაზის ფორმირება და განახლება, ასევე პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ დაწესებულება კარიერული მხარდაჭერის მნიშვნელოვან მიმართულებად განიხილავს დამსაქმებლებთან თანამშრომლობასა და შრომის ბაზარზე არსებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. წარმოდგენილი რეგულაციებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის ვაკანსიებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მექანიზმები.

3. დაწესებულების მიერ შემუშავებული „პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის მექანიზმებით" გათვალისწინებულია კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი. დოკუმენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანახმად, დაგეგმილია კურსდამთავრებულთა კვლევის განხორციელება, რომლის მიზანია დასაქმების მაჩვენებლების, კარიერული განვითარების ტენდენციებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შედეგიანობის შეფასება. ამასთან, გათვალისწინებულია დამსაქმებელთა გამოკითხვაც, რაც შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. ინტერვიუს პროცესში დადასტურდა, რომ აღნიშნული კვლევების ჩატარება გათვალისწინებულია კარიერული მხარდაჭერის მექანიზმებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად. ვინაიდან დაწესებულება გადის პირველადი ავტორიზაციის პროცესს და პროფესიული სტუდენტები/კურსდამთავრებულები ჯერ არ ჰყავს, კვლევების განხორციელების პრაქტიკის შეფასება მოცემულ ეტაპზე ვერ ხერხდება.

4. „პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების“ ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ითვალისწინებს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევის შედეგების გამოყენებას კარიერული მხარდაჭერის სერვისების შემდგომი განვითარების მიზნით. დოკუმენტით განსაზღვრულია კვლევის შედეგების ანალიზისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების პროცედურები. ინტერვიუს პროცესში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ მიღებული უკუკავშირი გამოყენებული იქნება კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და დამსაქმებლებთან თანამშრომლობის მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. წარმოდგენილი რეგულაციებით განსაზღვრულია კვლევის შედეგების ანალიზისა და მათზე რეაგირების პროცედურები. ვინაიდან დაწესებულება გადის პირველადი ავტორიზაციის პროცესს, აღნიშნული მექანიზმის პრაქტიკული შედეგების შეფასება ამ ეტაპზე ვერ ხერხდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 24 თებერვლის N 02/19 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი;
2. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 18 თებერვლის N 02/13 ბრძანებით დამტკიცებული სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ხელშეკრულების ნიმუშები;
4. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 9 თებერვლის N 02/02 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
5. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 9 თებერვლის N 02/04 ბრძანებით დამტკიცებული ,,ჩარიცხვის წესი და პირობები";
6. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 18 თებერვლის N 02/15 ბრძანებით დამტკიცებული კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია
7. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 17 თებერვლის N 02/11ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის მართვის მექანიზმები
8. გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა რეგულირდება წესდებით, სტრუქტურის დოკუმენტით, თანამდებობრივი დებულებით, შინაგანაწესით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკითა და თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებით. წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს როგორც სტრუქტურული მოწყობა, ასევე თითოეული პოზიციის ფუნქცია-მოვალეობები, პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულების ფარგლები.
   სტრუქტურის მიხედვით დაწესებულების საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, ხოლო ორგანიზაციული საქმიანობის განხორციელებაში ჩართული არიან დირექტორის მოადგილე, კანცლერი, საქმისწარმოების მენეჯერი, ფინანსური და შესყიდვების მენეჯერი, იურისტი და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. ასევე განსაზღვრულია შტატგარეშე პოზიციების ფუნქციები, მათ შორის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და შრომის უსაფრთხოების მიმართულებით.
   თანამდებობრივი დებულებითა და სამუშაო აღწერილობებით დეტალურადაა განსაზღვრული თითოეული პოზიციის ფუნქცია-მოვალეობები, უფლებამოსილებები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას და საქმიანობის ეფექტიან განხორციელებას. ინტერვიუს პროცესში დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ მათთვის განსაზღვრულ ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს და აქვთ აღნიშნული რეგულაციების შესაბამისად საქმიანობის განხორციელების მზაობა.
2. წარმოდგენილი სტრუქტურისა და თანამდებობრივი დებულების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში განსაზღვრული ფუნქციები და პასუხისმგებლობები ურთიერთდაკავშირებულ და ლოგიკურად გამიჯნულ სისტემას ქმნის. სტრუქტურული მოწყობა უზრუნველყოფს მმართველობითი, ადმინისტრაციული, ფინანსური, იურიდიული, საორგანიზაციო და მხარდაჭერის ფუნქციების განაწილებას შესაბამის პოზიციებს შორის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტებით განსაზღვრული ფუნქციები მიმართულია პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზების, ადმინისტრირების, რესურსების მართვის, ხარისხის უზრუნველყოფისა და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის ეფექტიან განხორციელებაზე. ამასთან, პასუხისმგებლობების განაწილება იძლევა შესაძლებლობას, რომ თითოეულმა პოზიციამ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელება და ინსტიტუციური მიზნების მიღწევა.

ინტერვიუს პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას გააზრებული აქვს სხვადასხვა ფუნქციური მიმართულების კოორდინირებული მუშაობის მნიშვნელობა და გეგმავს საქმიანობის წარმართვას შემუშავებული სტრუქტურული მოდელის შესაბამისად.

3. დაწესებულების სტრუქტურისა და თანამდებობრივი დებულების მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფუნქციები მინიჭებული აქვს დირექტორის მოადგილეს. აღნიშნული პოზიციის სამუშაო აღწერილობა მოიცავს ხარისხის შიდა და გარე სისტემების ჩამოყალიბებას, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგს, მონაცემთა ანალიზს, ანგარიშების მომზადებასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

   წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფუნქციები გამიჯნულია ფინანსური, იურიდიული, საქმისწარმოებისა და სხვა ადმინისტრაციული ფუნქციებისგან. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის უფლებამოსილებები ორიენტირებულია მონიტორინგზე, შეფასებასა და გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავებაზე, რაც ქმნის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების დამოუკიდებლად განხორციელების საფუძველს.

   დოკუმენტებით განსაზღვრული ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობა არ წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტის რისკს და უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ობიექტურად განხორციელების შესაძლებლობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 12 თებერვლის N 02/09 ბრძანებით დამტკიცებული თანამდებობრივი დებულება;
2. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 13 თებერვლის N 02/10 ბრძანებით დამტკიცებული არასაშტატო ნუსხით გათვალისწინებული პირები;
3. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 12 თებერვლის N 02/08 ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურა;
4. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის წესდება;
5. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 17 თებერვლის N02/11ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის მართვის მექანიზმები;
6. გასაუბრების შედეგები

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები რეგულირდება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით, შრომის შინაგანაწესით, თანამდებობრივი დებულებებითა და თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ რეგულირებულია პერსონალის შერჩევის, დასაქმების, ადაპტაციის, პროფესიული განვითარების, შეფასებისა და შრომითი ურთიერთობების მართვის საკითხები. დოკუმენტებით განსაზღვრულია თანამშრომელთა უფლებები და მოვალეობები, შრომის ორგანიზების წესი, შრომითი დისციპლინისა და პროფესიული ეთიკის მოთხოვნები, ასევე შრომითი ურთიერთობების შეწყვეტასთან დაკავშირებული საკითხები.

   ინტერვიუს პროცესში დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ პერსონალის მართვის პროცესები ეფუძნება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებსა და დაწესებულების შიდა რეგულაციებს. წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზით დასტურდება, რომ პერსონალის მართვის ძირითადი პროცესები მოწესრიგებულია შესაბამისი შიდა სამართლებრივი აქტებით და ქმნის საქმიანობის ორგანიზების საფუძველს.

2. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის მოზიდვის, შერჩევისა და დასაქმების ძირითადი პრინციპები და პროცედურები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კანდიდატების შერჩევა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და პოზიციის სპეციფიკის გათვალისწინებით. დოკუმენტებით გათვალისწინებულია როგორც ღია კონკურსის, ასევე სხვა კანონშესაბამისი მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობა.

   ინტერვიუს პროცესში დადასტურდა, რომ პერსონალის შერჩევისას ყურადღება ექცევა კანდიდატის განათლებას, პროფესიულ გამოცდილებასა და პოზიციის მოთხოვნებთან შესაბამისობას. წარმოდგენილი რეგულაციები უზრუნველყოფს შერჩევის პროცესის ორგანიზებას ობიექტურობის, თანასწორობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

3. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც ასახულია თანამდებობრივ დებულებებსა და სამუშაო აღწერილობებში. წარმოდგენილი პერსონალური საქმეებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დასაქმებული პერსონალი აკმაყოფილებს შესაბამის პოზიციებზე განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალის პირად საქმეებში განთავსებულია განათლების, სამუშაო გამოცდილებისა და სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ინტერვიუს პროცესში ასევე დადასტურდა, რომ პერსონალი აცნობიერებს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და აქვს შესაბამისი კომპეტენცია დაკისრებული საქმიანობის განსახორციელებლად. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დასტურდება პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობებთან.

4. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკითა და სხვა შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია თანამშრომლობის, ურთიერთპატივისცემის, ჩართულობისა და გუნდური მუშაობის პრინციპები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მნიშვნელობას ანიჭებს თანამშრომელთა ჩართულობასა და სხვადასხვა საკითხის კოლეგიალურ განხილვას.

   ინტერვიუს პროცესში დაწესებულების წარმომადგენლებმა ისაუბრეს სტრატეგიული დოკუმენტების, შიდა რეგულაციებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შემუშავების პროცესში თანამშრომელთა მონაწილეობის შესახებ. გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ორიენტირებულია თანამშრომლობით გარემოზე, სადაც გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გათვალისწინებულია სხვადასხვა მხარის მოსაზრებები და პროფესიული გამოცდილება. აღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი მართვისა და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 12 თებერვლის N 02/09 ბრძანებით დამტკიცებული თანამდებობრივი დებულება;
2. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 13 თებერვლის N 02/10 ბრძანებით დამტკიცებული არასაშტატო ნუსხით გათვალისწინებული პირები;
3. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 12 თებერვლის N 02/08 ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის წესდება;
5. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 17 თებერვლის N02/11ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის მართვის მექანიზმები;
6. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 12 თებერვლის N 02/07 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
7. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 17 თებერვლის N02/11ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის მართვის მექანიზმები
8. გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა გამოვლენის მექანიზმებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ შეფასების პროცესი დაკავშირებულია თანამშრომელთა საქმიანობის შედეგების, პროფესიული კომპეტენციებისა და განვითარების საჭიროებების განსაზღვრასთან. დოკუმენტებით ასევე გათვალისწინებულია პერსონალის საჭიროებათა კვლევის განხორციელება, რომლის შედეგებიც გამოყენებული იქნება პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში.
   ინტერვიუს პროცესში დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება განიხილება ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად. ვინაიდან დაწესებულება გადის პირველადი ავტორიზაციის პროცესს, პერსონალის შეფასების სისტემის პრაქტიკული შედეგების შეფასება მოცემულ ეტაპზე ვერ ხერხდება, თუმცა წარმოდგენილი რეგულაციებით განსაზღვრულია შესაბამისი პროცედურები და მექანიზმები.
2. დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა გამოვლენის მექანიზმებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ შეფასების პროცესი დაკავშირებულია თანამშრომელთა საქმიანობის შედეგების, პროფესიული კომპეტენციებისა და განვითარების საჭიროებების განსაზღვრასთან. დოკუმენტებით ასევე გათვალისწინებულია პერსონალის საჭიროებათა კვლევის განხორციელება, რომლის შედეგებიც გამოყენებული იქნება პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში.
   ინტერვიუს პროცესში დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება განიხილება ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად. ვინაიდან დაწესებულება გადის პირველადი ავტორიზაციის პროცესს, პერსონალის შეფასების სისტემის პრაქტიკული შედეგების შეფასება მოცემულ ეტაპზე ვერ ხერხდება, თუმცა წარმოდგენილი რეგულაციებით განსაზღვრულია შესაბამისი პროცედურები და მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულების შიდა რეგულაციებით გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას განიხილავს სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად. ამ მიზნით განსაზღვრულია პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის, პროფესიული ცოდნის განახლებისა და კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები.

   ინტერვიუს პროცესში დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლის მხარდაჭერა განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების შიდა რეგულაციების შესაბამისად. ვინაიდან დაწესებულება პირველადი ავტორიზაციის პროცესში იმყოფება, აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკული შედეგების შეფასება მოცემულ ეტაპზე შეუძლებელია.

4. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით გათვალისწინებულია ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ახალი თანამშრომლებისთვის განსაზღვრულია ორგანიზაციის საქმიანობის, შიდა რეგულაციების, სამუშაო პროცესისა და ფუნქცია-მოვალეობების გაცნობის მექანიზმები.

   ინტერვიუს პროცესში დადასტურდა, რომ დაწესებულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ახალი თანამშრომლების ეფექტიან ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან და შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფას ადაპტაციის საწყის ეტაპზე. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს თანამშრომელთა სწრაფ ჩართვას სამუშაო პროცესში და ორგანიზაციული კულტურის გაზიარებას.

5. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით გათვალისწინებულია ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ახალი თანამშრომლებისთვის განსაზღვრულია ორგანიზაციის საქმიანობის, შიდა რეგულაციების, სამუშაო პროცესისა და ფუნქცია-მოვალეობების გაცნობის მექანიზმები.

   ინტერვიუს პროცესში დადასტურდა, რომ დაწესებულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ახალი თანამშრომლების ეფექტიან ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან და შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფას ადაპტაციის საწყის ეტაპზე. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს თანამშრომელთა სწრაფ ჩართვას სამუშაო პროცესში და ორგანიზაციული კულტურის გაზიარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 12 თებერვლის N 02/09 ბრძანებით დამტკიცებული თანამდებობრივი დებულება;
2. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 13 თებერვლის N 02/10 ბრძანებით დამტკიცებული არასაშტატო ნუსხით გათვალისწინებული პირები;
3. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 12 თებერვლის N 02/08 ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურა;
4. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის წესდება;
5. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 17 თებერვლის N02/11ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის მართვის მექანიზმები;
6. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 12 თებერვლის N 02/07 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
7. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 17 თებერვლის N02/11ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის მართვის მექანიზმები
8. გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს „საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის“ მიერ წარმოდგენილია ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი N95ა-ში მდებარე უძრავი ქონებით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დაწესებულებასა და ა(ა)იპ „საქართველოს მძლეოსნობის ეროვნულ ფედერაციას“ შორის გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულების საფუძველზე აკადემიას გადაცემული აქვს შენობის ნაწილი 2025 წლის 1 სექტემბრიდან 2032 წლის 1 სექტემბრის ჩათვლით, რაც სრულად ფარავს ავტორიზაციის ვადას. წარმოდგენილია ასევე საჯარო რეესტრის ამონაწერი და შესაბამისი საკადასტრო მონაცემები, რაც ადასტურებს ფართის მართლზომიერ სარგებლობას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, შენობის გეგმისა და ადგილზე დათვალიერების საფუძველზე დადასტურებულია, რომ დაწესებულება უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსებით. დაწესებულებაში მოწყობილია ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო სივრცეები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო აუდიტორიები, სტუდენტური სივრცე, ბიბლიოთეკითა და საგანმანათლებლო რესურსებით სარგებლობის სივრცე, სანიტარული კვანძები და სხვა დამხმარე სივრცეები. დაწესებულებას ასევე გააჩნია საკონფერენციო ოთახი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დამატებით სასწავლო სივრცედ და აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მატერიალური რესურსების გამოყენების ინსტრუქცია, ტექნიკური მხარდაჭერის მექანიზმები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სასწავლო პროცესისათვის საჭირო მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვისა და გამოყენების წესი, რაც ადასტურებს რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმების არსებობას. ასევე წარმოდგენილია დომენისა და ჰოსტინგის მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც უზრუნველყოფს ელექტრონული რესურსებისა და საინფორმაციო სისტემების ფუნქციონირებას.

დაწესებულებამ წარმოადგინა შენობის კონსტრუქციული მდგრადობის დასკვნა, რომლის მიხედვით შენობა ვარგისია ექსპლუატაციისათვის. წარმოდგენილია აგრეთვე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების აქტი და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს წერილი, რაც ადასტურებს უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსებით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

<u>ინდიკატორი შეფასებულია როგორც შესაბამისი.</u>

2. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსები.

   დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო აუდიტორიები, სტუდენტური სივრცე, ბიბლიოთეკა, სანიტარული კვანძები, საინფორმაციო და ტექნოლოგიური რესურსები, ასევე სასწავლო პროცესისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

   დაწესებულების მიერ შემუშავებულია მატერიალური რესურსებისა და არამატერიალური აქტივების გამოყენების ინსტრუქცია, რომელიც განსაზღვრავს რესურსებით სარგებლობის, მათი დაცვისა და ეფექტიანი გამოყენების წესს. წარმოდგენილია შესაბამისი შიდა რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების თანაბარ და შეუფერხებელ ხელმისაწვდომობას პროფესიული სტუდენტებისათვის.

   ტექნიკური მხარდაჭერის მექანიზმები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიებითა და შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერით სარგებლობის შესაძლებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესში გამოყენებული ტექნოლოგიური საშუალებებისა და ელექტრონული რესურსების ხელმისაწვდომობა.

   ადგილზე დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ არსებული ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსები რეალურად ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის და გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სანიტარულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფის წესი, რომელიც განსაზღვრავს სასწავლო, ადმინისტრაციული და საერთო სარგებლობის სივრცეების დასუფთავების, მოვლის, ჰიგიენური ნორმების დაცვისა და სანიტარული პირობების უზრუნველყოფის მექანიზმებს.

   დოკუმენტაციის მიხედვით რეგულირდება სასწავლო და ადმინისტრაციული სივრცეების რეგულარული დასუფთავება, სანიტარული კვანძების მოვლა, ნარჩენების მართვა, სივრცეების განიავება და ჰიგიენური გარემოს შენარჩუნებისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება.

   დაწესებულებაში მოქმედებს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობას, ხოლო საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმები განსაზღვრავს უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პროცედურებს.

   ადგილზე დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ სასწავლო, ადმინისტრაციული და საერთო სარგებლობის სივრცეები მოწესრიგებულია, დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის შესაბამისი გარემო.

4. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ სასწავლო და ადმინისტრაციული სივრცეები უზრუნველყოფილია გათბობისა და გაგრილების სისტემებით. ქვეიჯარის ხელშეკრულების თანახმად, ყველა სივრცე აღჭურვილია გათბობა-გაგრილების ფუნქციის მქონე კონდიცირების სისტემებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვისათვის შესაბამის ტემპერატურულ პირობებს წლის სხვადასხვა პერიოდში. ადგილზე დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ არსებული სისტემები ფუნქციონირებს და უზრუნველყოფს დაწესებულებაში კომფორტული და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას.

5. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს უსაფრთხო სამუშაო და სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმებს.

   წარმოდგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმები არეგულირებს სხვადასხვა სახის საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების, ევაკუაციის, პასუხისმგებელი პირების ფუნქციებისა და თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფის პროცედურებს. დოკუმენტით განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები და საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედების წესი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების აქტი და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს წერილი, რაც ადასტურებს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შეფასების განხორციელებას.

ასევე წარმოდგენილია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფის წესი, რომლებიც ხელს უწყობს უსაფრთხო და ჯანმრთელობისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას.

ადგილზე დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებაში უზრუნველყოფილია უსაფრთხოებისათვის აუცილებელი პირობები და მოქმედებს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მექანიზმები.

6. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს უსაფრთხო სამუშაო და სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმებს. წარმოდგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმები არეგულირებს სხვადასხვა სახის საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების, ევაკუაციის, პასუხისმგებელი პირების ფუნქციებისა და თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცედურებს. დოკუმენტით განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები და საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედების წესი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების აქტი და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს წერილი, რაც ადასტურებს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შეფასების განხორციელებას. ასევე წარმოდგენილია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფის წესი, რომლებიც ხელს უწყობს უსაფრთხო და ჯანმრთელობისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას.

ადგილზე დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებაში უზრუნველყოფილია უსაფრთხოებისათვის აუცილებელი პირობები და მოქმედებს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მექანიზმები.

7. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც ეფუძნება უწყვეტი გაუმჯობესების (PDCA) ციკლს და ითვალისწინებს საგანმანათლებლო საქმიანობის, სასწავლო გარემოსა და რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ხორციელდება სასწავლო გარემოს, მატერიალური რესურსებისა და ტექნოლოგიური მხარდაჭერის შეფასება. აღნიშნული მიზნით გამოიყენება სხვადასხვა დაინტერესებული მხარის, მათ შორის პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის შედეგები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით განსაზღვრულია მატერიალური რესურსისა და ტექნოლოგიური მხარდაჭერის შეფასების პროცედურები, რომელთა საფუძველზეც ხდება არსებული მდგომარეობის ანალიზი, საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. შეფასების შედეგები გამოიყენება რესურსების გაუმჯობესებისა და განვითარების ღონისძიებების დაგეგმვისათვის.

დოკუმენტაციით ასევე განსაზღვრულია შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ფუნქციები, რომელიც ახორციელებს ინფორმაციის შეგროვებას, ანალიზს, შეფასებასა და რეკომენდაციების მომზადებას დაწესებულების საქმიანობისა და რესურსების შემდგომი განვითარების მიზნით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ითვალისწინებს რესურსების რეგულარულ შეფასებას, მიღებული შედეგების ანალიზსა და განვითარების ღონისძიებების დაგეგმვას.

8. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სანიტარულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფის წესი, რომელიც არეგულირებს სანიტარული კვანძების მოვლის, დასუფთავების, ჰიგიენური პირობების დაცვისა და შესაბამისი მარაგებით უზრუნველყოფის საკითხებს.

ადგილზე დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებაში მოწყობილია სანიტარული კვანძები, რომლებიც უზრუნველყოფილია წყალმომარაგებით, განათებითა და ვენტილაციით. სანიტარული კვანძები მოწესრიგებულია და უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას.

დოკუმენტაციისა და ადგილზე დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებაში მოწყობილია სანიტარული კვანძები, რომლებიც უზრუნველყოფილია წყალმომარაგებით, განათებითა და ვენტილაციით, მოწესრიგებულია და უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას. ასევე, სანიტარული კვანძები ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

9. ადგილზე დათვალიერებისა და წარმოდგენილი ინფრასტრუქტურის შეფასების შედეგად დადასტურდა, რომ სასწავლო სივრცეები უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით. არსებული განათების სისტემა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის საჭირო პირობებს.

   დათვალიერების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ სასწავლო სივრცეებში ხელმისაწვდომია ბუნებრივი განათება, ხოლო ხელოვნური განათების საშუალებები უზრუნველყოფს სივრცეების გამოყენებას დღის სხვადასხვა მონაკვეთში.

10. წარმოდგენილი შენობის გეგმის, დოკუმენტაციისა და ადგილზე დათვალიერების საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებაში არსებული სივრცეების განლაგება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიან განხორციელებას.

    სივრცეების ორგანიზება იძლევა სასწავლო პროცესის, ადმინისტრაციული საქმიანობისა და პროფესიული სტუდენტებისათვის განკუთვნილი აქტივობების პარალელურად წარმართვის შესაძლებლობას. სასწავლო, ადმინისტრაციული და საერთო სარგებლობის სივრცეები ფუნქციურად არის ორგანიზებული და შეესაბამება მათ დანიშნულებას.

    დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურა და სივრცეების განაწილება უზრუნველყოფს როგორც სასწავლო პროცესის, ასევე ადმინისტრაციული საქმიანობის შეუფერხებელ განხორციელებას.

11. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს საბიბლიოთეკო რესურსების ორგანიზების, ხელმისაწვდომობისა და გამოყენების პირობებს.

    დაწესებულებაში გამოყოფილია ბიბლიოთეკის/რესურსცენტრის ფუნქციის მქონე სივრცე, რომელიც განკუთვნილია პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის მიერ საგანმანათლებლო რესურსებით სარგებლობისათვის. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე დათვალიერების საფუძველზე დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესის მხარდაჭერის მიზნით მომხმარებლებისათვის ხელმისაწვდომია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი ელექტრონული სასწავლო რესურსები, სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტაციის მიხედვით, საგანმანათლებლო რესურსები ორგანიზებულია პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით და ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესში ჩართული პირებისათვის. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ასევე განსაზღვრავს რესურსების გამოყენებისა და განახლების ძირითად პრინციპებს.

ადგილზე დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის წვდომას სასწავლო პროცესისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსებზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. შენობის ნაგებობის იჯარის ხელშეკრულება;
2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
3. აზომვითი ნახაზი;
4. შენობის შიდა ნახაზი;
5. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 13 თებერვლის N 02/10 ბრძანებით დამტკიცებული არასაშტატო ნუსხით გათვალისწინებული პირები;
6. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 27 თებერვლის N 02/23 ბრძანებით დამტკიცებული შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;
7. შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
8. შრომის დაცვისა და ტექნიკური მენეჯერის სერტიფიკატი;
9. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 27 თებერვლის N 02/24 ბრძანებით დამტკიცებული მატერიალური რესურსების და არამატერიალური რესურსების ინსტრუქცია;
10. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 17 თებერვლის N 02/11 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

11. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 24 თებერვლის N 02/22 ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
12. ვიზუალური დათვალიერება;
13. გასაუბრების შედეგები

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციები და დოკუმენტაცია. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით განსაზღვრულია უსაფრთხოების უზრუნველყოფის, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების, ევაკუაციისა და სახანძრო უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები.
   დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების აქტი და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტაცია. ასევე მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმები, რომლებიც განსაზღვრავს პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს, ევაკუაციის წესსა და უსაფრთხოების ღონისძიებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადგილზე დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულების მიერ გამოყენებულ სივრცეებში უზრუნველყოფილია უსაფრთხოებისათვის აუცილებელი პირობები, განთავსებულია შესაბამისი უსაფრთხოების ნიშნები და დაცულია უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნები.

2. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რომლებიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის პროცედურებს. დოკუმენტაციის მიხედვით, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი სამედიცინო დახმარების ორგანიზების წესი, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირის ფუნქციები, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცედურები და გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სამედიცინო სამსახურის ჩართვის მექანიზმები. ადგილზე დათვალიერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხოების დაცვას.
3. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმები, რომლებიც განსაზღვრავს სხვადასხვა სახის საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში რეაგირების, ევაკუაციისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცედურებს. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ გაცემულია შესაბამისობის წერილი საგანგებო მართვის გეგმასთან დაკავშირებით, რომელიც დაწესებულებაში მიღებულია 4 ივნისს. დოკუმენტაციით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირების ფუნქციები, ევაკუაციის მარშრუტები, შეკრების ადგილი, საგანგებო სამსახურებთან კომუნიკაციის პროცედურები და სპეციალური საჭიროების მქონე პირების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას, რომლის შეთანხმება და შესაბამისობა დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტაციით. ადგილზე დათვალიერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.
4. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საგანმანათლებლო საქმიანობისათვის გამოყენებულ სივრცეებში მოქმედებს უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები. ქვეიჯარის ხელშეკრულების ფარგლებში დაწესებულება სარგებლობს შენობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურებებით, მათ შორის დაცვის სერვისით. დაწესებულებაში ასევე ფუნქციონირებს ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა, რომელიც დამატებით უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოსა და წესრიგის დაცვას. საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმები ითვალისწინებს დაცვის თანამშრომლების ჩართულობას უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ევაკუაციის პროცესის მართვისა და საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების ღონისძიებებში. დოკუმენტაციით განსაზღვრულია შესაბამისი პასუხისმგებელი პირების ფუნქციები და უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელების წესი. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებაში დანერგილია წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც მოიცავს როგორც პრევენციულ, ასევე რეაგირების ღონისძიებებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
2. სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა;
3. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 24 თებერვლის N 02/20 ბრძანებით დამტკიცებული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
4. იჯარის ხელშეკრულება და იჯარის ხელშეკრულებით დაფარული ვალდებულებები მეიჯარესთან;
5. ვიზუალური დათვალიერება;
6. გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე დათვალიერების საფუძველზე დადასტურდა, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს დაწესებულების საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული და საორგანიზაციო პროცესების განხორციელებას.

   დაწესებულებაში ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნიკა, ინტერნეტქსელი, ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და კომუნიკაციის საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესის, ადმინისტრაციული საქმიანობისა და ინფორმაციის მართვისათვის.

   საქმისწარმოების წესით განსაზღვრულია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენება, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტების შექმნის, აღრიცხვის, დამუშავებისა და შენახვის პროცესების ეფექტიან ორგანიზებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება მისი საქმიანობის სპეციფიკასა და მიმდინარე პროცესებს.

2. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე დათვალიერების საფუძველზე დადასტურდა, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს დაწესებულების საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული და საორგანიზაციო პროცესების განხორციელებას.

   დაწესებულებაში ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნიკა, ინტერნეტქსელი, ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და კომუნიკაციის საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესის, ადმინისტრაციული საქმიანობისა და ინფორმაციის მართვისათვის.

   დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს სისტემების უსაფრთხო გამოყენების, ინფორმაციის დაცვისა და ტექნიკური რესურსების მართვის პრინციპებს.

   მატერიალური რესურსებისა და არამატერიალური აქტივების გამოყენების ინსტრუქცია, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემასთან დაკავშირებული რეგულაციები ითვალისწინებს ინფორმაციის უსაფრთხოების, წვდომის მართვისა და მონაცემთა დაცვის ღონისძიებებს.

3. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების დამუშავების, შენახვის, წვდომისა და კონფიდენციალურობის დაცვის ძირითად პრინციპებს.

   ამასთან, საქმისწარმოების წესით გათვალისწინებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოთხოვნების გათვალისწინება როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროცესში. დოკუმენტებში განსაზღვრულია მონაცემებზე წვდომის, მათი დამუშავებისა და დაცვის ზოგადი წესები.

   წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს მატერიალური რესურსებისა და ტექნოლოგიური მხარდაჭერის შეფასებას.

   წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შეფასების პროცესში ჩართულნი არიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და რესურსების განვითარების ღონისძიებების დაგეგმვა.

   წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიური მხარდაჭერის შეფასების მექანიზმები.

5. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს მატერიალური რესურსებისა და ტექნოლოგიური მხარდაჭერის შეფასებას.

   წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შეფასების პროცესში ჩართულნი არიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და რესურსების განვითარების ღონისძიებების დაგეგმვა.

   წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიური მხარდაჭერის შეფასების მექანიზმები.

6. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულების საქმიანობაში გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომელიც მხარს უჭერს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების განხორციელებას.

   ადგილზე დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის ხელმისაწვდომია შესაბამისი კომპიუტერული რესურსები და ინტერნეტქსელი. ასევე, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის ხელმისაწვდომია პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ელექტრონული სასწავლო რესურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებაში შექმნილია პირობები პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის მიერ IT ინფრასტრუქტურითა და შესაბამისი ტექნოლოგიური რესურსებით სარგებლობისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 23 თებერვლის N 02/17 ბრძანებით დამტკიცებული ტექნიკური მხარდაჭერის მექანიზმები;
2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი;
3. IT რისკების მართვის დოკუმენტი;
4. ვიზუალური დათვალიერება;
5. გასაუბრების შედეგები

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც არეგულირებს დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შექმნის, რეგისტრაციის, აღრიცხვის, შენახვისა და არქივირების პროცესებს.

   საქმისწარმოების წესი შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების გათვალისწინებით. დოკუმენტში განსაზღვრულია როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროცედურები.

   წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

2. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც არეგულირებს დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შექმნის, რეგისტრაციის, აღრიცხვის, შენახვისა და არქივირების პროცესებს.

   საქმისწარმოების წესი შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების გათვალისწინებით. დოკუმენტში განსაზღვრულია როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროცედურები.

   წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

3. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში მონაცემთა აღრიცხვისა და მართვის პროცესები რეგულირდება საქმისწარმოების წესით, რომელიც განსაზღვრავს დოკუმენტაციის შექმნის, რეგისტრაციის, დამუშავებისა და შენახვის პროცედურებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიმოცვლა და ინფორმაციის წარმოება განხორციელებული იყო დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა Eflow, რომელიც გამოიყენება ადმინისტრაციული პროცესებისა და დოკუმენტბრუნვის მართვისათვის.

ვინაიდან დაწესებულება ავტორიზაციის მაძიებელია და საგანმანათლებლო საქმიანობა ჯერ არ ხორციელდება, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების შეფასება განხორციელდა წარმოდგენილი პროცედურებისა და არსებული პრაქტიკის საფუძველზე.

4. დაწესებულებას ჯერ არ აქვს მოპოვებული პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლება, თუმცა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადასტურდა მზაობა, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში დროულად მიაწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და ითანამშრომლებს მათთან.

   აღნიშნული ინდიკატორის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში განხორციელებული კომუნიკაცია, წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაწესებულებაში დანერგილი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა (Eflow), რომელიც გამოიყენება ადმინისტრაციული პროცესებისა და ოფიციალური კორესპონდენციის სამართავად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 24 თებერვლის N 02/19 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი;
2. საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა - eflow.emis.ge;
3. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მუაობის წესი;
4. დოკუმენტბრუნვის (მატერიალური / ელექტრონული) გაცნობის შედეგები;
5. ვიზუალური დათვალიერების შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. გასაუბრების შედეგები

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური მედიის არხები. დადგენდა, რომ დაწესებულებას გააჩნია ფუნქციონირებადი ოფიციალური ვებგვერდი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის, მისიის, საგანმანათლებლო პროგრამების, საკონტაქტო მონაცემებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. ასევე ფუნქციონირებს სოციალური ქსელის გვერდები, რომლებიც გამოიყენება დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისა და კომუნიკაციისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვებგვერდისა და სოციალური მედიის საშუალებით საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაცია, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის დროულ გავრცელებასა და დაინტერესებულ პირებთან ეფექტურ კომუნიკაციას.

2. დაწესებულების მისიის ანალიზით დადგინდა, რომ მასში საერთაშორისო თანამშრომლობა პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრული არ არის. ასევე, ავტორიზაციის ფარგლებში წარმოდგენილი არ არის უცხოენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. შესაბამისად, მოცემული ინდიკატორი დაწესებულების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე არ არის რელევანტური შეფასებისათვის.
3. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერებული ვებგვერდისა და სოციალური მედიის არხების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია დაწესებულების მისიის, ორგანიზაციული სტრუქტურის, საკონტაქტო მონაცემების, საგანმანათლებლო პროგრამების, მიღების წინაპირობებისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. ვებგვერდზე ასევე განთავსებულია დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტები.

   დაწესებულებას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები. ინფორმაციის განთავსება ხორციელდება ოფიციალური საკომუნიკაციო არხების გამოყენებით, მათ შორის ვებგვერდისა და სოციალური ქსელების საშუალებით. ამასთან, წარმოდგენილია ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მართვის პროცესების მოწესრიგებას. ვებგვერდის, სოციალური ქსელებისა და ავტორიზაციის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაციის ურთიერთშედარების შედეგად არ გამოვლენილა ურთიერთსაწინააღმდეგო ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს თავისი საქმიანობის, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.
4. დაწესებულების ვებ.გვერდზე ანონსის სახით განთავსებულია ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე, რომელსაც ამ ეტაპზე იმატებს კოლეჯი. ამასთან, ვებ. გვერდი იძლევა სრულყოფილ ინფორმაციას პროფესიული მომზადების სასწავლო კურსების თაობაზე, რომელსაც მოცემული დროის ეტაპზე ახორციელებს დაწესებულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დაწესებულების რეგულაციებით გათვალისწინებულია ვებ გვერდზე კატალოგის განთავსება, რომელიც განახლდება ყოველწლიურად და ასევე, საჭიროებისამებრ, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის შედგენასა და განახლებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მართვის სტრუქტურული ერთეული
6. დაწესებულების მიერ შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, სხვა არაერთ საკითხთან ერთად, ითვალისწინებს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესის შეფასება-გაუმჯობესებას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის შესაბამისად. საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმებითაც გათვალისწინებულია საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების გამოყენება და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, დაწესებულებაში საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, მუდმივად ხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხიდან მიღებული შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზი. ეს პროცესი უზრუნველყოფს ორგანიზაციის მუშაობის ოპტიმიზაციას და გაუმჯობესებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2026 წლის 23 თებერვლის N 02/16 ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმი;
2. პროგრამების კატალოგი;
3. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
4. დაწესებულების ვებგვერდი;
5. დაწესებულების სოც.მედიის გვერდი;
6. ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
7. გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, რომლებშიც გათვალისწინებულია საქმიანობის ძირითადი მიმართულებების ფინანსური უზრუნველყოფა. წარმოდგენილია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც ასახავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ფინანსურ რესურსებს.

   პროგრამების დაფინანსების წყაროდ განსაზღვრულია სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსება. საპროგნოზო ბიუჯეტი მოიცავს პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებულ ძირითად ხარჯებს, მათ შორის ადამიანური რესურსების, მატერიალური რესურსების, ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯების დაფინანსებას.

   წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებას დაგეგმილი აქვს სტრატეგიული და სამოქმედო მიზნების ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტით გათვალისწინებულია დაწესებულების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საოპერაციო ხარჯები, მათ შორის ადამიანური რესურსების, ფართის სარგებლობის, მატერიალური რესურსების, ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯები.

   ამასთან, დაწესებულება უკვე ფლობს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლებას და ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას აღნიშნული მიმართულებით, რაც წარმოადგენს დამატებით გარემოებას დაწესებულების საოპერაციო შესაძლებლობებისა და ფინანსური რესურსების მართვის შეფასებისათვის.

   წარმოდგენილი ბიუჯეტისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას გააზრებული აქვს საოპერაციო ხარჯების დაფარვის მექანიზმები და პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსები.

3. წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტით გათვალისწინებულია დაწესებულების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საოპერაციო ხარჯები, მათ შორის ადამიანური რესურსების, ფართის სარგებლობის, მატერიალური რესურსების, ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯები.

   ამასთან, დაწესებულება უკვე ფლობს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლებას და ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას აღნიშნული მიმართულებით, რაც წარმოადგენს დამატებით გარემოებას დაწესებულების საოპერაციო შესაძლებლობებისა და ფინანსური რესურსების მართვის შეფასებისათვის.

   წარმოდგენილი ბიუჯეტისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას გააზრებული აქვს საოპერაციო ხარჯების დაფარვის მექანიზმები და პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსები.

4. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელშიც ასახულია პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო შემოსავლები და ხარჯები. ასევე წარმოდგენილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, რომლებშიც განსაზღვრულია დაგეგმილი საქმიანობების ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუს პროცესში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ფინანსური დაგეგმვა და რესურსების შეფასება ხორციელდება ბიუჯეტირების პროცესის ფარგლებში, რაც გამოიყენება პროგრამების განხორციელების ფინანსური შესაძლებლობების განსაზღვრისათვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას გააზრებული აქვს ფინანსური მდგრადობის შეფასების საჭიროება და ფინანსური დაგეგმვის პროცესში იყენებს შესაბამის ბიუჯეტურ ინსტრუმენტებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საპროგნოზო ბიუჯეტი;
2. გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მოდის ტექნოლოგია და დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	N03/01 (2026 წლის 10 თებერვალი)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი ა. წერეთლის 95 ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30 პროფესიული სტუდენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვროს პროგრამის განხორციელებისთვის ხელმისაწვდომი მატერიალური რესურსის, პრაქტიკული სასწავლო გარემოების ტევადობისა და პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასაბუთება

ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნა პრაქტიკული სწავლების სპეციფიკა, სამუშაო ადგილების რაოდენობა, სასწავლო სივრცეების ტევადობა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რესურსი, სასწავლო პროცესის ორგანიზების პრინციპები და პროგრამის კალენდარული გეგმა, რაც ერთობლიობაში უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას.

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია განსაზღვრავს ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და განხორციელების საფუძვლებს. მეთოდოლოგიის თანახმად, პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე, რაც შეიძლება ეფუძნებოდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზს, დამსაქმებელთა საჭიროებებს, დასაქმების ტენდენციებს, დაინტერესებულ მხარეთა ინიციატივებსა და სხვა მნიშვნელოვან გარემოებებს. ასევე, მეთოდოლოგია განსაზღვრავს, რომ პროგრამების დაგეგმვა უნდა იყოს თავსებადი დაწესებულების მისიასთან, სტრატეგიულ მიზნებსა და განვითარების მიმართულებებთან. დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი ასევე ითვალისწინებს პროგრამის დამატების ინიციირების, შესაბამისი ინფორმაციის მოძიებისა და პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის შეფასების პროცედურებს. აღნიშნული პროცესი მოიცავს კურსდამთავრებულთა, შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზს, რაც ქმნის პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველს.

   ვიზიტისა და ინტერვიუების ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულებაში პროგრამების დაგეგმვა და განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული პროცედურებისა და შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე.

2. პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები განსაზღვრავს აპლიკანტთა რეგისტრაციის, კონსულტირების, შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო შერჩევის პროცესი უზრუნველყოფს აპლიკანტთა შეფასებას განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. ინტერვიუების ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ აპლიკანტებს წინასწარ მიეწოდებათ ინფორმაცია პროგრამის შინაარსის, მოთხოვნებისა და სწავლის შედეგების შესახებ, რაც ხელს უწყობს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას და პროგრამაზე შესაბამისი კონტინგენტის მიღებას.

3. დაწესებულებაში მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების ძირითად პრინციპებს, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მიდგომებს. მეთოდოლოგიის თანახმად, პროგრამის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებას ექვემდებარება პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები, სასწავლო გარემოს შესაძლებლობები, პროგრამის სპეციფიკა და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები.

   დაწესებულებაში ასევე მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი, რომელიც არეგულირებს პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესს და ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების წინაპირობების შეფასებას. აღნიშნული დოკუმენტები ქმნის პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების ერთიან სისტემას და უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღებას წინასწარ განსაზღვრული პროცედურების საფუძველზე.

   ვიზიტისა და ინტერვიუების ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულებას გააჩნია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მექანიზმი, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის პროცესის შემადგენელ ნაწილს და ეფუძნება შესაბამისი რესურსებისა და პროგრამის განხორციელების პირობების შეფასებას.

4. დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების წინასწარ განსაზღვრისა და შეფასების მექანიზმებს. მეთოდოლოგიის შესაბამისად, პროგრამის დაგეგმვის პროცესში ფასდება პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო და საგანმანათლებლო რესურსების არსებობა და ხელმისაწვდომობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი ასევე ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების წინაპირობების შეფასებას, მათ შორის სასწავლო გარემოს, სასწავლო რესურსებისა და პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისთვის საჭირო პირობების უზრუნველყოფას. პროგრამის შემუშავების პროცესში მონაწილეობენ სხვადასხვა პასუხისმგებელი პირები, მათ შორის სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი, ბიბლიოთეკაზე პასუხისმგებელი პირი, ფინანსური და შესყიდვების მენეჯერი, რაც უზრუნველყოფს რესურსებთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსურ შეფასებას.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მოქმედ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტებს, დისტანციური სწავლების წესს, უსაფრთხოების ინსტრუქციებსა და სხვა პროგრამის განხორციელების მხარდამჭერ მექანიზმებს. ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში დაწესებულება ხელმძღვანელობს რესურსების წინასწარი შეფასებისა და უზრუნველყოფის პრინციპით, რაც მიზნად ისახავს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მხარდაჭერას.

5. პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესის მიხედვით, არჩევითი მოდულების არსებობის შემთხვევაში მათი მოცულობა და შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებს და უკავშირდებოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, არჩევითი მოდულების განსაზღვრისას დაწესებულება ხელმძღვანელობს პროფესიული სტანდარტითა და პროგრამის მიზნებით. პროგრამის ფარგლებში არჩეული მოდული ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
6. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროგრამის დამტკიცების შესახებ დირექტორის ბრძანება, რომლითაც დასტურდება პროგრამის ოფიციალური დამტკიცება და განხორციელების გადაწყვეტილების მიღება უფლებამოსილი პირის მიერ.
7. პროგრამის სახელწოდება „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ ასახავს პროგრამის შინაარსს, პროფესიულ სფეროსა და მისაღწევ სწავლის შედეგებს. წარმოდგენილი პროგრამის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და პროგრამის მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პროგრამის, შიდა მარეგულირებელი აქტებისა და ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამა შემუშავებულია მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე და შესაბამისობაშია პროფესიული განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამის შემუშავების პროცედურები რეგულირდება დაწესებულების შიდა ნორმატიული აქტებით, რომლებიც ეყრდნობა მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროგრამის შეფასების ფორმა;
2. აკადემიის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული პროგრამა;
3. პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება / არგუმენტირებული ცხრილი;
4. აკადემიის მისია;
5. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
6. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტი;
7. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
8. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
9. პროფესიული პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი და სასწავლო გარემოები. პროგრამისთვის გამოყოფილია ერთი თეორიული სწავლების აუდიტორია და სამი პრაქტიკული სასწავლო სივრცე. პრაქტიკული გარემოები განსხვავებული დანიშნულებისაა და აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, კერძოდ, ერთ სივრცეში განთავსებულია საგამომჭრელო სამუშაო მაგიდები, მეორე სივრცეში - მოლბერტები, ხოლო მესამე სივრცე აღჭურვილია საკერავი მანქანებით. დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ თითოეული პრაქტიკული სასწავლო სივრცე გათვლილია 10 პროფესიული სტუდენტის ერთდროულ მომსახურებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის სასწავლო გეგმა, მოდულების განხორციელების თანმიმდევრობა და სასწავლო პროცესის ორგანიზების მოდელი. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პრაქტიკული სწავლება ორგანიზებულია ეტაპობრივად, მცირე ჯგუფების პრინციპით. დაწესებულების განმარტებით, სასწავლო პროცესი დაგეგმილია 30 პროფესიული სტუდენტის მიღების პირობებში, რომლებიც დაიყოფიან 10-კაციან ჯგუფებად, ხოლო პრაქტიკული მოდულები განხორციელდება მონაცვლეობით, სასწავლო ცხრილის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ არსებული პრაქტიკული სასწავლო გარემოები და მათი ორგანიზების მოდელი იძლევა აღნიშნული რაოდენობის პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესის განხორციელების შესაძლებლობას.

დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილია პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები, რომლებიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების მიერ საწარმოო პრაქტიკის გავლას რეალურ სამუშაო გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის სასწავლო გეგმა და დაადგინა, რომ საწარმოო პრაქტიკის მოდული პროგრამაში გათვალისწინებულია დასკვნით ეტაპზე, მას შემდეგ, რაც სტუდენტები დაასრულებენ პროგრამით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული მოდულების შესწავლას დაწესებულების ბაზაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, პარტნიორი ორგანიზაციების არსებობა უზრუნველყოფს საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებას, თუმცა გავლენას არ ახდენს იმ მატერიალური რესურსის შეფასებაზე, რომელიც გამოიყენება პროგრამის ძირითადი პრაქტიკული მოდულების განხორციელებისას და, შესაბამისად, ვერ იქნება პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთების საფუძველი.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება, რომლის მიხედვითაც პროგრამისთვის განსაზღვრულია 60 პროფესიული სტუდენტი ორ მიღებაზე. წარმოდგენილი დასაბუთების, პროგრამის ხანგრძლივობის, სასწავლო გეგმისა და მოდულების განხორციელების თანმიმდევრობის ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის პირველი და მეორე მიღების პროფესიული სტუდენტების სწავლება დროში გადაიკვეთება. აღნიშნული გარემოება გამოიწვევს პრაქტიკული სწავლებისათვის განსაზღვრული სასწავლო სივრცეების, მათ შორის საკერავი მანქანებით აღჭურვილი ლაბორატორიის, ერთდროულ გამოყენებას ორივე მიღების პროფესიული სტუდენტების მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვინაიდან პრაქტიკული სწავლებისათვის განკუთვნილ სივრცეში განთავსებულია 10 სამუშაო ადგილი და სწორედ აღნიშნულ გარემოში მიიღწევა პროგრამის მნიშვნელოვანი პრაქტიკული სწავლის შედეგები, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი მატერიალური რესურსი არ ადასტურებს 60 პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობის განხორციელების შესაძლებლობას პროგრამის მიმდინარეობის პერიოდში. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, არსებული სასწავლო გარემო, სასწავლო პროცესის ორგანიზების წარმოდგენილი მოდელის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას 30 პროფესიული სტუდენტის ფარგლებში. დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვროს პროგრამის განხორციელებისთვის ხელმისაწვდომი მატერიალური რესურსის, პრაქტიკული სასწავლო გარემოების ტევადობისა და პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით.

2. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, საკვალიფიკაციო მონაცემები, მოდულების განაწილება და სამუშაო დატვირთვები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის თითოეული მოდულის განხორციელებისთვის განსაზღვრულია არანაკლებ ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას როგორც დაგეგმილი სასწავლო პროცესის, ისე მასწავლებლის დროებითი ჩანაცვლების საჭიროების შემთხვევაში.

   დატვირთვების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო დატვირთვა განაწილებულია რაციონალურად და არ აღემატება კვირაში 40 საათს. აღნიშნული გარემოება უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას, პროფესიული განათლების მასწავლებელთა ფუნქციების სათანადოდ შესრულებასა და პროგრამის მდგრად განხორციელებას. ინტერვიუების ფარგლებში ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევისა და მოდულებზე განაწილებისას გათვალისწინებულია როგორც მათი დარგობრივი კომპეტენცია, ისე სასწავლო პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფა. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დაადგინა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და სამუშაო დატვირთვა შეესაბამება პროგრამის განხორციელების საჭიროებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად განხორციელებას.

3. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა პერსონალური საქმეები, საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია, პროფესიული გამოცდილებისა და საქმიანობის ამსახველი ინფორმაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ შესაბამის განათლებას, პროფესიულ კვალიფიკაციასა და მრავალწლიან პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელიც შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელი მოდულების შინაარსს.

დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამის განმახორციელებლებს აქვთ პროფესიული განათლების სისტემაში სწავლების გამოცდილება, ხოლო ინტერვიუების ფარგლებში წარმოადგინეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად გამოყენებული სწავლებისა და შეფასების მიდგომები. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისათვის საჭირო კომპეტენციებს.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის განხორციელებაში ჩართული ზოგადი მოდულების განმახორციელებელთა დოკუმენტაციაც. მიუხედავად იმისა, რომ ისინი აკმაყოფილებენ შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ინტერვიუების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მათი ნაწილისთვის პროფესიული განათლების სისტემაში საქმიანობა ახალი მიმართულებაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის განხორციელების დაწყებამდე მიზანშეწონილია დაწესებულებამ უზრუნველყოს მათთვის პროფესიული განათლების სისტემის, მოდულური სწავლების სპეციფიკის, სწავლის შედეგებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების მიდგომების შესახებ შიდა საორიენტაციო/ადაპტაციის ტრენინგის ჩატარება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ერთიანი საგანმანათლებლო მიდგომებით განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაბამისი კომპეტენცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია - მიზანშეწონილია პროგრამის განხორციელების დაწყებამდე დაწესებულებამ უზრუნველყოს ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის პროფესიული განათლების სისტემის, მოდულური სწავლების სპეციფიკისა და სწავლის შედეგებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების მიდგომების შესახებ შიდა საორიენტაციო (ინუქციის) ტრენინგის ჩატარება.</u>

4. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის ხელმძღვანელის პერსონალური საქმე, საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია, სამუშაო გამოცდილებისა და საქმიანობის ამსახველი ინფორმაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია შესაბამისი დარგობრივი განათლება, პროფესიული საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება და საგანმანათლებლო სფეროში მუშაობის გამოცდილება.

   ინტერვიუების ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების პროცესში საკუთარ როლსა და პასუხისმგებლობებზე. მისი განმარტებით, პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია პროგრამის განხორციელების კოორდინაციაში, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან თანამშრომლობაში, სასწავლო პროცესის მონიტორინგში, პროგრამის განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებასა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.

   ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, პროფესიული და საგანმანათლებლო გამოცდილება, ასევე პროგრამის მართვის პროცესში მისი ჩართულობა შეესაბამება პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

   ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან კოორდინაციასა და განვითარებას.

5. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი და მათი ხელმისაწვდომობის საკითხი. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაში მითითებული სასწავლო ლიტერატურა და სხვა საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, ხოლო მათი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის.

დარგის ექსპერტის შეფასებით, პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია და აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას.

6. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულებაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მიზნით მოქმედი რეგულაციები და შესაბამისი დოკუმენტაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის არსებობის შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასებას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას (საჭიროების შემთხვევაში) და შესაბამისი სასწავლო რესურსების ადაპტირებას.

   დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და სასწავლო რესურსების ადაპტირება განხორციელდება პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაბამის სპეციალისტებთან თანამშრომლობით.

   ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებაში შექმნილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მექანიზმი, რაც აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას.

7. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამისთვის წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი და ფინანსური უზრუნველყოფის დოკუმენტაცია. წარმოდგენილი ბიუჯეტი მოიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავლების ნაწილში გათვალისწინებულია სახელმწიფო დაფინანსების შესაბამისი წყაროები, ხოლო ხარჯვით ნაწილში ასახულია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ძირითადი ხარჯები, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება, სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები, ადმინისტრაციული და კომუნალური ხარჯები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა პროგრამის ფინანსური მდგრადობის გაანგარიშება, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია პროგრამის რენტაბელობის ზღვარი. წარმოდგენილი ფინანსური გაანგარიშების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 5 პროფესიულ სტუდენტს, რაც პროგრამის განხორციელების ფინანსურ მდგრადობას უზრუნველყოფს.

ინტერვიუების ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს პროგრამის ფინანსური დაგეგმვის მიდგომები, მათ შორის პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვის პრინციპები. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი ფინანსური დაგეგმვა და საპროგნოზო ბიუჯეტი ქმნის პროგრამის მდგრადი განხორციელების ფინანსურ საფუძველს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული პროგრამა;
2. პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
3. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტი;
4. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოია;
5. მასწავლებელების პირადი საქმე;
6. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
7. სასწავლო პროცესის მარეგურილებელი წესი;
8. ისგ შემუშავების მქანიზმები;
9. პროფესიული პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესი;
10. პროგრამის ბიუჟეტი;
11. ვიზუალუტი დათალიერებისშედეგები;
12. გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმი.

   წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, პროგრამის შეფასებისას გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების, დამსაქმებელთა, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის, ასევე საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინების შესაძლებლობა. ამასთან, განსაზღვრულია პროგრამების პერიოდული შეფასებისა და მიღებული შედეგების საფუძველზე მათი განვითარების პროცედურები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებაში განსაზღვრული პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმი შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას.

2. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამების შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი დოკუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზისა და საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში ცვლილებების ინიცირებისა და განხორციელების პროცედურები.

   დოკუმენტების მიხედვით, პროგრამის შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელება მოხდება დაწესებულებაში დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული პროცედურები ითვალისწინებს პროგრამის შეფასების შედეგების, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას.

   ვინაიდან ავტორიზაციის ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამა პირველადი განხორციელებისთვის არის წარდგენილი, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა დაწესებულებაში განსაზღვრული მექანიზმის შესაბამისობა და არა მისი პრაქტიკაში განხორციელების შედეგები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
2. პროგრამის დამტკიცების შეცვლის და გაუქმების წესი;
3. ვერიფიკაციის მექანიზმები;
4. გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო
6. საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი
7. ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
8. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, მოდულების განაწილება, წინაპირობები, საკონტაქტო საათების განაწილება და სასწავლო პროცესის დაგეგმვის დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის სასწავლო გეგმა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად, განსაზღვრულია მოდულების განხორციელების თანმიმდევრობა, წინაპირობები, სწავლების ფორმები და სასწავლო პროცესის ორგანიზების ძირითადი პარამეტრები, რაც ქმნის პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად განხორციელების წინაპირობას.
2. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები, სასწავლო პროცესის მართვის წესი და პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები. დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში განსაზღვრულია სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესის ორგანიზების პროცედურები, რომლებიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებების იდენტიფიცირების, ინდივიდუალური შემთხვევების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. აღნიშნული მექანიზმები ქმნის პროფესიული სტუდენტების ინტერესებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ორგანიზების წინაპირობას.

3. პროგრამის დოკუმენტაციის, მოდულების აღწერებისა და მატერიალური რესურსების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებისას განსაზღვრულია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება.
4. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მარეგულირებელი დოკუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფის მექანიზმები.

   დოკუმენტაციის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტისთვის შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, სასწავლო პროცესისა და რესურსების შესაბამისი ადაპტირება, ასევე დამატებითი მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვა პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით.

   ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებაში განსაზღვრული მექანიზმები ქმნის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების წინაპირობას.
5. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის განხორციელებისთვის წარმოდგენილი თანამშრომლობის ხელშეკრულებები/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, რომელთა საფუძველზეც განსაზღვრულია

   პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობა პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პროცესში.

   ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პრაქტიკის ობიექტები და შეხვდა პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს. დათვალიერებისა და ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პრაქტიკის ობიექტები საქმიანობის პროფილის, მატერიალურ-ტექნიკური გარემოსა და სამუშაო პროცესების სპეციფიკის გათვალისწინებით შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნებსა და მისაღწევ სწავლის შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დარგობრივი ექსპერტების შეფასებით, პრაქტიკის ობიექტებზე არსებული სამუშაო გარემო იძლევა პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპეტენციების გამომუშავების შესაძლებლობას.

პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა დაადასტურეს პროგრამის განხორციელების პროცესში თანამშრომლობის მზადყოფნა და განმარტეს, რომ პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის დაწყებამდე დაწესებულებასთან შეთანხმდება პრაქტიკის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის პროფესიული სტუდენტების განაწილება, პრაქტიკის გრაფიკი, პასუხისმგებელი პირები და სხვა ორგანიზაციული საკითხები, რაც უზრუნველყოფს საწარმოო პრაქტიკის ეფექტიან დაგეგმვასა და განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულების თანამშრომლობა პარტნიორ ორგანიზაციებთან დადასტურებულია შესაბამისი ხელშეკრულებებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით, ხოლო პარტნიორი ორგანიზაციების მატერიალური და პროფესიული რესურსები ქმნის პროგრამის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წინაპირობას.

6. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში დაათვალიერა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული სასწავლო გარემოები და გაეცნო შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი თეორიული და პრაქტიკული სასწავლო სივრცეები აღჭურვილია პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებებით.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა დაწესებულებაში მოქმედი შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციები, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხოების დაცვის მარეგულირებელი დოკუმენტები, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ევაკუაციის გეგმები. ინტერვიუების ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიული სტუდენტები გაივლიან უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს პროგრამის სპეციფიკის შესაბამისად, ხოლო პრაქტიკული მოდულების განხორციელებისას უზრუნველყოფილი იქნება შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის განხორციელებისთვის შექმნილია უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის წინაპირობები, რაც შეესაბამება პროგრამის სპეციფიკასა და ინდიკატორის მოთხოვნას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული პროგრამა;
2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
3. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
4. პრაქტიკის ობიექტის დათვალიერების შედეგები;
5. სასწავლო გარემოს / აუდიტორიების დათვალიერების შედეგები;
6. გასაუბრების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა, მოდულების შეფასების მიდგომები და შეფასების მარეგულირებელი დოკუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ შეფასების სისტემა აგებულია სწავლის შედეგებზე დაფუძნებული შეფასების პრინციპებზე და განსაზღვრავს შეფასების ფორმებს, კრიტერიუმებსა და მტკიცებულებებს. შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სისტემა ითვალისწინებს შეფასების გამჭვირვალობის, ობიექტურობის, სამართლიანობის, ვალიდურობისა და სანდოობის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რაც ქმნის პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურების წინაპირობას.

2. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შეფასების სისტემასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტები. დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში განსაზღვრულია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს შეფასების პროცესის ხარისხის კონტროლსა და შეფასების შედეგების სანდოობის უზრუნველყოფის პროცედურებს. ინტერვიუების ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს ვერიფიკაციის განხორციელების წესი, პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი პროცედურები.
3. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შეფასების შედეგების აღრიცხვის, დოკუმენტირების და შენახვის მარეგულირებელი დოკუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში განსაზღვრულია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, შეფასების მტკიცებულებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის აღრიცხვისა და შენახვის წესი, რომელიც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მათ შორის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში მათი შენახვის ვალდებულებას.
4. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგების გამოყენებასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგების ანალიზისა და მათი შემდგომი განვითარების მიზნით გამოყენების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტისთვის უკუკავშირის მიწოდებას, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვასა და ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებას.

   ვინაიდან ავტორიზაციის ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამა პირველადი განხორციელებისთვის არის წარმოდგენილი, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა დაწესებულებაში განსაზღვრული მექანიზმის შესაბამისობა და არა მისი პრაქტიკაში გამოყენების შედეგები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
3. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
4. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	სპორტის ინსტრუქტორობა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სპორტის ინსტრუქტორობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1014
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	N03/01 (2026 წლის 10 თებერვალი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი ა.წერეთლის 95 ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	150
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია განსაზღვრავს ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და განხორციელების საფუძვლებს. მეთოდოლოგიის თანახმად, პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე, რაც შეიძლება ეფუძნებოდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზს, დამსაქმებელთა საჭიროებებს, დასაქმების ტენდენციებს, დაინტერესებულ მხარეთა ინიციატივებსა და სხვა მნიშვნელოვან გარემოებებს. ასევე, მეთოდოლოგია განსაზღვრავს, რომ პროგრამების დაგეგმვა უნდა იყოს თავსებადი დაწესებულების მისიასთან, სტრატეგიულ მიზნებსა და განვითარების მიმართულებებთან. დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი ასევე ითვალისწინებს პროგრამის დამატების ინიციირების, შესაბამისი ინფორმაციის მოძიებისა და პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის შეფასების პროცედურებს. აღნიშნული პროცესი მოიცავს კურსდამთავრებულთა, შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზს, რაც ქმნის პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველს.

   ვიზიტისა და ინტერვიუების ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულებაში პროგრამების დაგეგმვა და განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული პროცედურებისა და შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე.

2. პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები განსაზღვრავს აპლიკანტთა რეგისტრაციის, კონსულტირების, შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო შერჩევის პროცესი უზრუნველყოფს აპლიკანტთა შეფასებას განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. ინტერვიუების ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ აპლიკანტებს წინასწარ მიეწოდებათ ინფორმაცია პროგრამის შინაარსის, მოთხოვნებისა და სწავლის შედეგების შესახებ, რაც ხელს უწყობს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას და პროგრამაზე შესაბამისი კონტინგენტის მიღებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულებაში მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების ძირითად პრინციპებს, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მიდგომებს. მეთოდოლოგიის თანახმად, პროგრამის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებას ექვემდებარება პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები, სასწავლო გარემოს შესაძლებლობები, პროგრამის სპეციფიკა და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები.

   დაწესებულებაში ასევე მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი, რომელიც არეგულირებს პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესს და ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების წინაპირობების შეფასებას. აღნიშნული დოკუმენტები ქმნის პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების ერთიან სისტემას და უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღებას წინასწარ განსაზღვრული პროცედურების საფუძველზე.

   ვიზიტისა და ინტერვიუების ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულებას გააჩნია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მექანიზმი, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის პროცესის შემადგენელ ნაწილს და ეფუძნება შესაბამისი რესურსებისა და პროგრამის განხორციელების პირობების შეფასებას.

4. დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების წინასწარ განსაზღვრისა და შეფასების მექანიზმებს. მეთოდოლოგიის შესაბამისად, პროგრამის დაგეგმვის პროცესში ფასდება პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო და საგანმანათლებლო რესურსების არსებობა და ხელმისაწვდომობა.

   პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი ასევე ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების წინაპირობების შეფასებას, მათ შორის სასწავლო გარემოს, სასწავლო რესურსებისა და პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისთვის საჭირო პირობების უზრუნველყოფას. პროგრამის შემუშავების პროცესში მონაწილეობენ სხვადასხვა პასუხისმგებელი პირები, მათ შორის სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი, ბიბლიოთეკაზე პასუხისმგებელი პირი, ფინანსური და შესყიდვების მენეჯერი, რაც უზრუნველყოფს რესურსებთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსურ შეფასებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მოქმედ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტებს, დისტანციური სწავლების წესს, უსაფრთხოების ინსტრუქციებსა და სხვა პროგრამის განხორციელების მხარდამჭერ მექანიზმებს. ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში დაწესებულება ხელმძღვანელობს რესურსების წინასწარი შეფასებისა და უზრუნველყოფის პრინციპით, რაც მიზნად ისახავს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მხარდაჭერას.

5. პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესის მიხედვით, არჩევითი მოდულების არსებობის შემთხვევაში მათი მოცულობა და შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებს და უკავშირდებოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, არჩევითი მოდულების განსაზღვრისას დაწესებულება ხელმძღვანელობს პროფესიული სტანდარტითა და პროგრამის მიზნებით. აღსანიშნავია რომ პროგრამა არჩევით მოდულს არ ითვალისწინებს
6. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროგრამის დამტკიცების შესახებ დირექტორის ბრძანება, რომლითაც დასტურდება პროგრამის ოფიციალური დამტკიცება და განხორციელების გადაწყვეტილების მიღება უფლებამოსილი პირის მიერ.
7. პროგრამის სახელწოდება „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ ასახავს პროგრამის შინაარსს, პროფესიულ სფეროსა და მისაღწევ სწავლის შედეგებს. წარმოდგენილი პროგრამის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და პროგრამის მიზნებს.
8. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პროგრამის, შიდა მარეგულირებელი აქტებისა და ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამა შემუშავებულია მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე და შესაბამისობაშია პროფესიული განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამის შემუშავების პროცედურები რეგულირდება დაწესებულების შიდა ნორმატიული აქტებით, რომლებიც ეყრდნობა მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროგრამის შეფასების ფორმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. აკადემიის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული პროგრამა;
3. პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება / არგუმენტირებული ცხრილი;
4. აკადემიის მისია;
5. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
6. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტი;
7. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
8. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
9. პროფესიული პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული სასწავლო გარემო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. დათვალიერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში არსებული მატერიალური რესურსი სრულად ვერ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის განხორციელებას. ავტორიზაციის განაცხადის მიხედვით პროგრამის განხორციელება დაგეგმილი იყო იმიტირებული სასწავლო გარემოს გამოყენებით. თუმცა, ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ მიღებული იყო გადაწყვეტილება პროგრამის კოოპერაციული მიდგომით განხორციელების შესახებ. აღნიშნული ცვლილება არსებითად ცვლის პროგრამის განხორციელების მოდელს და გულისხმობს პარტნიორი ორგანიზაციების მნიშვნელოვან ჩართულობას სასწავლო პროცესში.
   ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებს შესაბამისი მოდულების განხორციელებას პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე და შესაბამისი რესურსების ხელმისაწვდომობას. თუმცა, ვინაიდან აღნიშნული ცვლილება განხორციელდა ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში, ექსპერტთა ჯგუფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არ მიეცა შესაძლებლობა ადგილზე შეეფასებინა პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული სასწავლო გარემო, პარტნიორი ორგანიზაციების რესურსები და კოოპერაციული მოდელის პრაქტიკული განხორციელების პირობები.

ამასთანავე, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამა სრულად არ იყო მომზადებული განხორციელებისთვის სხვა არსებითი მიმართულებებითაც. კერძოდ, პროგრამის მოდულები არ იყო სათანადოდ დამუშავებული და ადაპტირებული დაწესებულებაში არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან, რიგ შემთხვევებში გამოვლინდა პროგრამის შინაარსობრივი და ტექნიკური ხარვეზები, რაც გავლენას ახდენდა პროგრამის განხორციელების რეალისტურობისა და სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფის შეფასებაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იძლეოდა შესაძლებლობას ცალსახად დადგენილიყო, თუ როგორ განხორციელდებოდა ცალკეული მოდულები არსებული რესურსების პირობებში და როგორ იქნებოდა უზრუნველყოფილი პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოვლენილი გარემოებები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ პროგრამის განხორციელების მოდელის ცვლილებითა და ახალი პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობით. ***პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის, მოდულების ადაპტირების, რესურსებთან შესაბამისობისა და ტექნიკური მზაობის არასაკმარისი ხარისხის გამო ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა შესაძლებლობა სრულყოფილად შეეფასებინა პროგრამის განხორციელების პირობები და დაედასტურებინა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის წარმოდგენილი მატერიალური, ადამიანური და ორგანიზაციული რესურსები სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.***

ზემოაღნიშნული გარემოებების საფუძველზე, **ავტორიზაციის ვიზიტის ეტაპზე და დასკვნის პროექტში 2.2.1 (2.2.1.1 და 2.2.1.2) ინდიკატორი შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“**. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად ექსპერტთა ჯგუფს დამატებით წარმოადგინა **შესაბამისობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია შპს „მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის“ დირექტორის 2026 წლის 14 აგვისტოს №00016678 ბრძანებით. გეგმაში,** 2.2.1 ინდიკატორთან დაკავშირებული გამოვლენილი საკითხების საპასუხოდ განსაზღვრულია კონკრეტული ღონისძიებები, მათი განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი პირები, ჩართული მხარეები, მოსალოდნელი შედეგები და შესრულების დადასტურების შესაბამისი მტკიცებულებები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისობის გეგმა და შეაფასა მასში განსაზღვრული ღონისძიებების **რელევანტურობა, თანმიმდევრულობა და მიღწევადობა**. გეგმით განსაზღვრული პერიოდი — **2026 წლის 14 აგვისტოდან 25 ნოემბრამდე** — ექსპერტთა შეფასებით, წარმოადგენს გამოვლენილი საკითხების მოსაგვარებლად რეალისტურ ვადას. ამასთან, გეგმაში განსაზღვრული ღონისძიებები პირდაპირ უკავშირდება ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილ საკითხებს და ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების უზრუნველყოფას. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ღონისძიებების განხორციელებაში განსაზღვრულია პასუხისმგებელი მხარეები და პარტნიორი ორგანიზაციის ჩართულობა, ხოლო საბოლოო შედეგის შეფასებისთვის გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების ფლობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა. აღნიშნული მიდგომა ექსპერტთა ჯგუფს აძლევს შესაძლებლობას, შეაფასოს არა მხოლოდ დაწესებულების მიერ გამოვლენილი ხარვეზის აღიარება და მისი აღმოფხვრის განზრახვა, არამედ **კონკრეტული ღონისძიებების შესაბამისობა გამოვლენილ საკითხებთან, მათი განხორციელების ვადა და მოსალოდნელი შედეგის მიღწევადობა**. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული ღონისძიებები პირდაპირ პასუხობს ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილ მატერიალური და ადამიანური რესურსების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამასთან, გეგმაში განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, ჩართული მხარეები, შესრულების ვადა და შედეგის დადასტურების წყაროები, რაც ქმნის დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგისა და შედეგის შემდგომი დადასტურების შესაძლებლობას.

ექსპერტთა ჯგუფმა, შესაბამისობის გეგმის შინაარსის, განსაზღვრული ღონისძიებების რელევანტურობის, მათი განხორციელების ვადის, პასუხისმგებელი პირებისა და ჩართული მხარეების, ასევე მოსალოდნელი შედეგებისა და დადასტურების მექანიზმების გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ 2026 წლის 25 ნოემბრამდე გაწერილი გეგმა არის რეალისტური და მიღწევადი. შესაბამისად, განსაზღვრულ ვადაში დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება შესაძლებელია.

აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ავტორიზაციის ვიზიტის ეტაპზე და დასკვნის პროექტში 2.2.1 ინდიკატორი შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, **არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესწავლისა და მისი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელებადობის შეფასების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შეცვალა თავდაპირველი შეფასება და ინდიკატორი განსაზღვრა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

2. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, მოდულებზე მათი განაწილება და დატვირთვები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული მოდულების ნაწილისთვის არ არის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკმარისი რაოდენობა, რაც ვერ უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად განხორციელებას.

   აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა ***არ არის საკმარისი პროგრამის სრულფასოვანი განხორციელებისთვის.***

   დაწესებულებამ დასკვნის პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის უზრუნველყოფის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები, მათი განხორციელების ვადა, პასუხისმგებელი პირები და შესრულების დადასტურების მექანიზმები.

   ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა და შეაფასა განსაზღვრული ღონისძიებების შესაბამისობა გამოვლენილ საკითხთან, ასევე მათი განხორციელების ვადა და მიღწევადობა. ექსპერტთა შეფასებით, დაგეგმილი ღონისძიებები პირდაპირ პასუხობს გამოვლენილ საკითხს, ხოლო მათი განხორციელებისთვის განსაზღვრული პერიოდი — 2026 წლის 14 აგვისტოდან 25 ნოემბრამდე — არის რელევანტური და რეალისტური. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ განსაზღვრულ ვადაში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება შესაძლებელია.

   აღნიშნულის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად და თავდაპირველი შეფასება „არ შეესაბამება“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად შეესაბამება“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა პერსონალური საქმეები, საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია, პროფესიული საქმიანობის ამსახველი ინფორმაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ შესაბამის კვალიფიკაციასა და მრავალწლიან პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელიც შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელი მოდულების შინაარსს.

   ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის განხორციელებაში ჩართული ზოგადი მოდულების განმახორციელებელთა დოკუმენტაციაც. მიუხედავად იმისა, რომ ისინი აკმაყოფილებენ შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ინტერვიუების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მათი ნაწილისთვის პროფესიული განათლების სისტემაში საქმიანობა ახალი მიმართულებაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის განხორციელების დაწყებამდე მიზანშეწონილია დაწესებულებამ უზრუნველყოს მათთვის პროფესიული განათლების სისტემის, მოდულური სწავლების სპეციფიკის, სწავლის შედეგებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების მიდგომების შესახებ შიდა საორიენტაციო/ადაპტაციის ტრენინგის ჩატარება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ერთიანი საგანმანათლებლო მიდგომებით განხორციელებას.

   ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაბამისი კომპეტენცია.

   განმავითარებელი რეკომენდაცია - მიზანშეწონილია პროგრამის განხორციელების დაწყებამდე დაწესებულებამ უზრუნველყოს ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის პროფესიული განათლების სისტემის, მოდულური სწავლების სპეციფიკისა და სწავლის შედეგებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების მიდგომების შესახებ შიდა საორიენტაციო (ინსტრუქციის) ტრენინგის ჩატარება.

4. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის ხელმძღვანელის პერსონალური საქმე, საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია, სამუშაო გამოცდილებისა და საქმიანობის ამსახველი ინფორმაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმძღვანელს გააჩნია შესაბამისი დარგობრივი განათლება, პროფესიული საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება და საგანმანათლებლო სფეროში მუშაობის გამოცდილება.

ინტერვიუების ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების პროცესში საკუთარ როლსა და პასუხისმგებლობებზე. მისი განმარტებით, პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია პროგრამის განხორციელების კოორდინაციაში, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან თანამშრომლობაში, სასწავლო პროცესის მონიტორინგში, პროგრამის განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებასა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, პროფესიული და საგანმანათლებლო გამოცდილება, ასევე პროგრამის მართვის პროცესში მისი ჩართულობა შეესაბამება პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისათვის დადგენილ მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან კოორდინაციასა და განვითარებას.

5. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი და მათი ხელმისაწვდომობის საკითხი. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაში მითითებული სასწავლო ლიტერატურა და სხვა საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმით.

   დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, ხოლო მათი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის.

   დარგის ექსპერტის შეფასებით, პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია და აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას.

6. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულებაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მიზნით მოქმედი რეგულაციები და შესაბამისი დოკუმენტაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფუძველზე დადგინდა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის არსებობის შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასებას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას (საჭიროების შემთხვევაში) და შესაბამისი სასწავლო რესურსების ადაპტირებას.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და სასწავლო რესურსების ადაპტირება განხორციელდება პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაბამის სპეციალისტებთან თანამშრომლობით.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებაში შექმნილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მექანიზმი, რაც აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას.

7. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამისთვის წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი და ფინანსური უზრუნველყოფის დოკუმენტაცია. წარმოდგენილი ბიუჯეტი მოიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავლების ნაწილში გათვალისწინებულია სახელმწიფო დაფინანსების შესაბამისი წყაროები, ხოლო ხარჯვით ნაწილში ასახულია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ძირითადი ხარჯები, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება, სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები, ადმინისტრაციული და კომუნალური ხარჯები.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა პროგრამის ფინანსური მდგრადობის გაანგარიშება, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია პროგრამის რენტაბელობის ზღვარი. წარმოდგენილი ფინანსური გაანგარიშების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 5 პროფესიულ სტუდენტს, რაც პროგრამის განხორციელების ფინანსურ მდგრადობას უზრუნველყოფს.

ინტერვიუების ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს პროგრამის ფინანსური დაგეგმვის მიდგომები, მათ შორის პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვის პრინციპები. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი ფინანსური დაგეგმვა და საპროგნოზო ბიუჯეტი ქმნის პროგრამის მდგრადი განხორციელების ფინანსურ საფუძველს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული პროგრამა;
2. პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
3. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტი;
4. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
5. მასწავლებელების პირადი საქმე;
6. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
7. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
8. ისგ შემუშავების მექანიზმები;
9. პროფესიული პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესი;
10. შესაბამისობის გეგმა - დამტკიცებული 2026 წლის 14 აგვისტოს №00016678 ბრძანებით.
11. პროგრამის ბიუჯეტი;
12. ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
13. გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმი.

   წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, პროგრამის შეფასებისას გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების, დამსაქმებელთა, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის, ასევე საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინების შესაძლებლობა. ამასთან, განსაზღვრულია პროგრამების პერიოდული შეფასებისა და მიღებული შედეგების საფუძველზე მათი განვითარების პროცედურები. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებაში განსაზღვრული პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმი შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას.
2. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამების შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი დოკუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზისა და საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში ცვლილებების ინიცირებისა და განხორციელების პროცედურები. დოკუმენტების მიხედვით, პროგრამის შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელება მოხდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული პროცედურები ითვალისწინებს პროგრამის შეფასების შედეგების, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას. ვინაიდან ავტორიზაციის ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამა პირველადი განხორციელებისთვის არის წარდგენილი, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა დაწესებულებაში განსაზღვრული მექანიზმის შესაბამისობა და არა მისი პრაქტიკაში განხორციელების შედეგები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
2. პროგრამის დამტკიცების შეცვლის და გაუქმების წესი;
3. ვერიფიკაციის მექანიზმები;
4. გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, მოდულების განაწილება, წინაპირობები, საკონტაქტო საათების განაწილება და სასწავლო პროცესის დაგეგმვის დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის სასწავლო გეგმა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად, განსაზღვრულია მოდულების განხორციელების თანმიმდევრობა, წინაპირობები, სწავლების ფორმები და სასწავლო პროცესის ორგანიზების ძირითადი პარამეტრები, რაც ქმნის პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად განხორციელების წინაპირობას.
2. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები, სასწავლო პროცესის მართვის წესი და პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები. დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში განსაზღვრულია სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურები, რომლებიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებების იდენტიფიცირების, ინდივიდუალური შემთხვევების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. აღნიშნული მექანიზმები ქმნის პროფესიული სტუდენტების ინტერესებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ორგანიზების წინაპირობას.
3. პროგრამის დოკუმენტაციის, მოდულების აღწერებისა და მატერიალური რესურსების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებისას განსაზღვრულია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება.
4. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მარეგულირებელი დოკუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფის მექანიზმები. დოკუმენტაციის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტისთვის შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, სასწავლო პროცესისა და რესურსების შესაბამისი ადაპტირება, ასევე დამატებითი მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვა პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებაში განსაზღვრული მექანიზმები ქმნის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების წინაპირობას.

5. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი თანამშრომლობის ხელშეკრულებები / ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას და განსაზღვრავს მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს. ავტორიზაციის განაცხადის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება დაგეგმილი იყო იმიტირებული სასწავლო გარემოს გამოყენებით. თუმცა, ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროგრამის განხორციელება გადაწყდა კოოპერაციული სწავლების ფორმით, რაც არსებითად ცვლის პარტნიორი ორგანიზაციების როლს პროგრამის განხორციელების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ავტორიზაციის შეფასების პროცესში წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილების გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაადასტურა, რომ პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობა, პროგრამის განხორციელების მექანიზმები და პრაქტიკული კომპონენტის ორგანიზება სრულად შეესაბამება შერჩეულ განხორციელების ფორმას.

6. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში დაათვალიერა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული სასწავლო გარემოები და გაეცნო შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი თეორიული და პრაქტიკული სასწავლო სივრცეები აღჭურვილია პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა დაწესებულებაში მოქმედი შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციები, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხოების დაცვის მარეგულირებელი დოკუმენტები, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ევაკუაციის გეგმები. ინტერვიუების ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიული სტუდენტები გაივლიან უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს პროგრამის სპეციფიკის შესაბამისად, ხოლო პრაქტიკული მოდულების განხორციელებისას უზრუნველყოფილი იქნება შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის განხორციელებისთვის შექმნილია უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის წინაპირობები, რაც შეესაბამება პროგრამის სპეციფიკასა და ინდიკატორის მოთხოვნას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული პროგრამა;
2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
3. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
4. სასწავლო გარემოს / აუდიტორიების დათვალიერების შედეგები;
5. გასაუბრების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა, მოდულების შეფასების მიდგომები და შეფასების მარეგულირებელი დოკუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ შეფასების სისტემა აგებულია სწავლის შედეგებზე დაფუძნებული შეფასების პრინციპებზე და განსაზღვრავს შეფასების ფორმებს, კრიტერიუმებსა და მტკიცებულებებს. შეფასების სისტემა ითვალისწინებს შეფასების გამჭვირვალობის, ობიექტურობის, სამართლიანობის, ვალიდურობისა და სანდოობის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რაც ქმნის პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურების წინაპირობას.
2. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შეფასების სისტემასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტები. დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში განსაზღვრულია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს შეფასების პროცესის ხარისხის კონტროლსა და შეფასების შედეგების სანდოობის უზრუნველყოფის პროცედურებს. ინტერვიუების ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს ვერიფიკაციის განხორციელების წესი, პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი პროცედურები.
3. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შეფასების შედეგების აღრიცხვის, დოკუმენტირების და შენახვის მარეგულირებელი დოკუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში განსაზღვრულია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, შეფასების მტკიცებულებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის აღრიცხვისა და შენახვის წესი, რომელიც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მათ შორის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში მათი შენახვის ვალდებულებას.
4. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგების გამოყენებასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში განსაზღვრულია პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტების შეფასების შედეგების ანალიზისა და მათი შემდგომი განვითარების მიზნით გამოყენების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტისთვის უკუკავშირის მიწოდებას, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვასა და ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებას. ვინაიდან ავტორიზაციის ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამა პირველადი განხორციელებისთვის არის წარმოდგენილი, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა დაწესებულებაში განსაზღვრული მექანიზმის შესაბამისობა და არა მისი პრაქტიკაში გამოყენების შედეგები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული პროგრამა;
2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
3. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
4. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის სახელწოდება	Front-End დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-End დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	03/01 (2025 წლის 10 თებერვალი)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი ა. წერეთლის 95 ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	200
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

III.ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

1. პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად
2. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
3. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
5. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
6. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
7. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
8. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
9. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია განსაზღვრავს ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და განხორციელების საფუძვლებს. მეთოდოლოგიის თანახმად, პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე, რაც შეიძლება ეფუძნებოდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზს, დამსაქმებელთა საჭიროებებს, დასაქმების ტენდენციებს, დაინტერესებულ მხარეთა ინიციატივებსა და სხვა მნიშვნელოვან გარემოებებს. ასევე, მეთოდოლოგია განსაზღვრავს, რომ პროგრამების დაგეგმვა უნდა იყოს თავსებადი დაწესებულების მისიასთან, სტრატეგიულ მიზნებსა და განვითარების მიმართულებებთან. დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი ასევე ითვალისწინებს პროგრამის დამატების ინიციირების, შესაბამისი ინფორმაციის მოძიებისა და პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის შეფასების პროცედურებს. აღნიშნული პროცესი მოიცავს კურსდამთავრებულთა, შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზს, რაც ქმნის პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველს.

   ვიზიტისა და ინტერვიუების ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულებაში პროგრამების დაგეგმვა და განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული პროცედურებისა და შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე.

2. პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები განსაზღვრავს აპლიკანტთა რეგისტრაციის, კონსულტირების, შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო შერჩევის პროცესი უზრუნველყოფს აპლიკანტთა შეფასებას განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. ინტერვიუების ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ აპლიკანტებს წინასწარ მიეწოდებათ ინფორმაცია პროგრამის შინაარსის, მოთხოვნებისა და სწავლის შედეგების შესახებ, რაც ხელს უწყობს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას და პროგრამაზე შესაბამისი კონტინგენტის მიღებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულებაში მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების ძირითად პრინციპებს, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მიდგომებს. მეთოდოლოგიის თანახმად, პროგრამის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებას ექვემდებარება პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები, სასწავლო გარემოს შესაძლებლობები, პროგრამის სპეციფიკა და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები.

   დაწესებულებაში ასევე მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი, რომელიც არეგულირებს პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესს და ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების წინაპირობების შეფასებას. აღნიშნული დოკუმენტები ქმნის პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების ერთიან სისტემას და უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღებას წინასწარ განსაზღვრული პროცედურების საფუძველზე.

   ვიზიტისა და ინტერვიუების ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულებას გააჩნია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მექანიზმი, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის პროცესის შემადგენელ ნაწილს და ეფუძნება შესაბამისი რესურსებისა და პროგრამის განხორციელების პირობების შეფასებას.

4. დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების წინასწარ განსაზღვრისა და შეფასების მექანიზმებს. მეთოდოლოგიის შესაბამისად, პროგრამის დაგეგმვის პროცესში ფასდება პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო და საგანმანათლებლო რესურსების არსებობა და ხელმისაწვდომობა.

   პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი ასევე ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების წინაპირობების შეფასებას, მათ შორის სასწავლო გარემოს, სასწავლო რესურსებისა და პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისთვის საჭირო პირობების უზრუნველყოფას. პროგრამის შემუშავების პროცესში მონაწილეობენ სხვადასხვა პასუხისმგებელი პირები, მათ შორის სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი, ბიბლიოთეკაზე პასუხისმგებელი პირი, ფინანსური და შესყიდვების მენეჯერი, რაც უზრუნველყოფს რესურსებთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსურ შეფასებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მოქმედ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტებს, დისტანციური სწავლების წესს, უსაფრთხოების ინსტრუქციებსა და სხვა პროგრამის განხორციელების მხარდამჭერ მექანიზმებს. ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში დაწესებულება ხელმძღვანელობს რესურსების წინასწარი შეფასებისა და უზრუნველყოფის პრინციპით, რაც მიზნად ისახავს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მხარდაჭერას.

5. პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესის მიხედვით, არჩევითი მოდულების არსებობის შემთხვევაში მათი მოცულობა და შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებს და უკავშირდებოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, არჩევითი მოდულების განსაზღვრისას დაწესებულება ხელმძღვანელობს პროფესიული სტანდარტითა და პროგრამის მიზნებით. აღნიშნული პროგრამა არჩევით მოდულს არ ითვალისწინებს
6. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროგრამის დამტკიცების შესახებ დირექტორის ბრძანება, რომლითაც დასტურდება პროგრამის ოფიციალური დამტკიცება და განხორციელების გადაწყვეტილების მიღება უფლებამოსილი პირის მიერ.
7. პროგრამის სახელწოდება Front -End დეველოპმენტი ასახავს პროგრამის შინაარსს, პროფესიულ სფეროსა და მისაღწევ სწავლის შედეგებს. წარმოდგენილი პროგრამის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და პროგრამის მიზნებს.
8. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პროგრამის, შიდა მარეგულირებელი აქტებისა და ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამა შემუშავებულია მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე და შესაბამისობაშია პროფესიული განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამის შემუშავების პროცედურები რეგულირდება დაწესებულების შიდა ნორმატიული აქტებით, რომლებიც ეყრდნობა მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროგრამის შეფასების ფორმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. აკადემიის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული პროგრამა;
3. პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება / არგუმენტირებული ცხრილი;
4. აკადემიის მისია;
5. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
6. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტი;
7. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
8. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
9. პროფესიული პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. აღსანიშნავია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა Front-End დეველოპმენტი, დაწესებულების მიერ იგეგმება რომ განხორციელდება ონლაინ ფორმატით, შესაბამისად ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი და სასწავლო გარემოები (ორი მოდულის ფარგლებში: მეწარმეობა და ინტერპერსონალური კომუნიკაცია). პროგრამისთვის გამომდინარე იქედან რომ იგეგმება დისტანციურად განხორციელება, დაწესებულებას აქვს დამატებით ერთი აუდიტორია მოაზრებული საჭიროებისამებრ გამოსაყენებლად მომართვიანობის შემთხვევაში, თუმცა ასევე დაწესებულებაში ორი მოდულის ფარგლებში რომელიც ადგილზე განხორციელებას ითვალისწინებს აუცილებლად (მეწარმეობა და ინტერპერსონალური კომუნიკაცია) დაწესებულებას აქვს შესაბამისის აუდიტორია გათვალისწინებული.

   ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის სასწავლო გეგმა, მოდულების განხორციელების თანმიმდევრობა და სასწავლო პროცესის ორგანიზების მოდელი. სასწავლო პროცესის წარმართვისათვის დაწესებულება ლექციებს წარმართავს ZOOM პლატფორმის საშუალებით. რაც შეეხება სტუდენტთა რაოდენობას, ზღვრული ოდენობა დაწესებულების მიერ განსაზღვრულია 200 პროფესიული სტუდენტი, თითო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიღებაზე 100 სტუდენტი 4 (ოთხი) ჯგუფად, თითოში 25 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებული, ორ ცვლაში ორ-ორ ჯგუფად, რაც ოფლაინ განხორციელებადი მოსულებისათვის დათმობილი / მოაზრებული სივრცის მიხედვითაც არის გათვალისწინებული. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ არსებული პრაქტიკული სასწავლო გარემოები და მათი ორგანიზების მოდელი იძლევა აღნიშნული რაოდენობის პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესის განხორციელების შესაძლებლობას.

პროგრამა განხორციელდება იმიტირებული მიდგომით რაც პარტნიორი თუ პრაქტიკის ობიექტების არსებობას არ მოითხოვს.

წარმოდგენილი დასაბუთების, პროგრამის ხანგრძლივობის, სასწავლო გეგმისა და მოდულების განხორციელების თანმიმდევრობის ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის განხორციელება წარიმართება შეუფერხებლად.

2. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, საკვალიფიკაციო მონაცემები, მოდულების განაწილება და სამუშაო დატვირთვები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის თითოეული მოდულის განხორციელებისთვის განსაზღვრულია არანაკლებ ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას როგორც დაგეგმილი სასწავლო პროცესის, ისე მასწავლებლის დროებითი ჩანაცვლების საჭიროების შემთხვევაში.

   დატვირთვების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო დატვირთვა განაწილებულია რაციონალურად და არ აღემატება კვირაში 40 საათს. აღნიშნული გარემოება უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას, პროფესიული განათლების მასწავლებელთა ფუნქციების სათანადოდ შესრულებასა და პროგრამის მდგრად განხორციელებას. ინტერვიუების ფარგლებში ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევისა და მოდულებზე განაწილებისას გათვალისწინებულია როგორც მათი დარგობრივი კომპეტენცია, ისე სასწავლო პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფა. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დაადგინა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და სამუშაო დატვირთვა შეესაბამება პროგრამის განხორციელების საჭიროებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად განხორციელებას.

3. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა პერსონალური საქმეები, საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია, პროფესიული გამოცდილებისა და საქმიანობის ამსახველი ინფორმაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ შესაბამის განათლებას, პროფესიულ კვალიფიკაციასა და მრავალწლიან პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელიც შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელი მოდულების შინაარსს.

დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამის განმახორციელებლებს აქვთ პროფესიული განათლების სისტემაში სწავლების გამოცდილება, ხოლო ინტერვიუების ფარგლებში წარმოადგინეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად გამოყენებული სწავლებისა და შეფასების მიდგომები. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისათვის საჭირო კომპეტენციებს.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის განხორციელებაში ჩართული ზოგადი მოდულების განმახორციელებელთა დოკუმენტაციაც. მიუხედავად იმისა, რომ ისინი აკმაყოფილებენ შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ინტერვიუების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მათი ნაწილისთვის პროფესიული განათლების სისტემაში საქმიანობა ახალი მიმართულებაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის განხორციელების დაწყებამდე მიზანშეწონილია დაწესებულებამ უზრუნველყოს მათთვის პროფესიული განათლების სისტემის, მოდულური სწავლების სპეციფიკის, სწავლის შედეგებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების მიდგომების შესახებ შიდა საორიენტაციო/ადაპტაციის ტრენინგის ჩატარება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ერთიანი საგანმანათლებლო მიდგომებით განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაბამისი კომპეტენცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმავითარებელი რეკომენდაცია - მიზანშეწონილია პროგრამის განხორციელების დაწყებამდე დაწესებულებამ უზრუნველყოს მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის პროფესიული განათლების სისტემის, მოდულური სწავლების სპეციფიკისა და სწავლის შედეგებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების მიდგომების შესახებ შიდა საორიენტაციო (ინსტრუქციის) ტრენინგის ჩატარება.

4. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის ხელმძღვანელის პერსონალური საქმე, საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია, სამუშაო გამოცდილებისა და საქმიანობის ამსახველი ინფორმაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია შესაბამისი დარგობრივი განათლება, პროფესიული საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება და საგანმანათლებლო სფეროში მუშაობის გამოცდილება.

   ინტერვიუების ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების პროცესში საკუთარ როლსა და პასუხისმგებლობებზე. მისი განმარტებით, პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია პროგრამის განხორციელების კოორდინაციაში, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან თანამშრომლობაში, სასწავლო პროცესის მონიტორინგში, პროგრამის განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებასა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.

   ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, პროფესიული და საგანმანათლებლო გამოცდილება, ასევე პროგრამის მართვის პროცესში მისი ჩართულობა შეესაბამება პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

   ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან კოორდინაციასა და განვითარებას.

5. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი და მათი ხელმისაწვდომობის საკითხი. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაში მითითებული სასწავლო ლიტერატურა და სხვა საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, ხოლო მათი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის.

დარგის ექსპერტის შეფასებით, პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია და აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას.

6. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულებაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მიზნით მოქმედი რეგულაციები და შესაბამისი დოკუმენტაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის არსებობის შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასებას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას (საჭიროების შემთხვევაში) და შესაბამისი სასწავლო რესურსების ადაპტირებას.

   დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და სასწავლო რესურსების ადაპტირება განხორციელდება პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაბამის სპეციალისტებთან თანამშრომლობით.

   ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებაში შექმნილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მექანიზმი, რაც აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას.

7. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამისთვის წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი და ფინანსური უზრუნველყოფის დოკუმენტაცია. წარმოდგენილი ბიუჯეტი მოიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავლების ნაწილში გათვალისწინებულია სახელმწიფო დაფინანსების შესაბამისი წყაროები, ხოლო ხარჯვით ნაწილში ასახულია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ძირითადი ხარჯები, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება, სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები, ადმინისტრაციული და კომუნალური ხარჯები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა პროგრამის ფინანსური მდგრადობის გაანგარიშება, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია პროგრამის რენტაბელობის ზღვარი. წარმოდგენილი ფინანსური გაანგარიშების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 5 პროფესიულ სტუდენტს, რაც პროგრამის განხორციელების ფინანსურ მდგრადობას უზრუნველყოფს.

ინტერვიუების ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს პროგრამის ფინანსური დაგეგმვის მიდგომები, მათ შორის პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვის პრინციპები. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი ფინანსური დაგეგმვა და საპროგნოზო ბიუჯეტი ქმნის პროგრამის მდგრადი განხორციელების ფინანსურ საფუძველს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული პროგრამა;
2. პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
3. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტი;
4. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
5. მასწავლებელების პირადი საქმე;
6. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
7. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
8. ისგ შემუშავების მექანიზმები;
9. პროფესიული პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესი;
10. პროგრამის ბიუჯეტი;
11. ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
12. გასაუბრების შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმი.

   წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, პროგრამის შეფასებისას გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების, დამსაქმებელთა, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის, ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინების შესაძლებლობა. ამასთან, განსაზღვრულია პროგრამების პერიოდული შეფასებისა და მიღებული შედეგების საფუძველზე მათი განვითარების პროცედურები.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებაში განსაზღვრული პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმი შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას.

2. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამების შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი დოკუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზისა და საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში ცვლილებების ინიციირებისა და განხორციელების პროცედურები.

   დოკუმენტების მიხედვით, პროგრამის შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელება მოხდება დაწესებულებაში დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული პროცედურები ითვალისწინებს პროგრამის შეფასების შედეგების, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას.

   ვინაიდან ავტორიზაციის ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამა პირველადი განხორციელებისთვის არის წარდგენილი, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა დაწესებულებაში განსაზღვრული მექანიზმის შესაბამისობა და არა მისი პრაქტიკაში განხორციელების შედეგები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
2. პროგრამის დამტკიცების შეცვლის და გაუქმების წესი;
3. ვერიფიკაციის მექანიზმები;
4. გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან / თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით / ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, მოდულების განაწილება, წინაპირობები, საკონტაქტო საათების განაწილება და სასწავლო პროცესის დაგეგმვის დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის სასწავლო გეგმა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად, განსაზღვრულია მოდულების განხორციელების თანმიმდევრობა, წინაპირობები, სწავლების ფორმები და სასწავლო პროცესის ორგანიზების ძირითადი პარამეტრები, რაც ქმნის პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად განხორციელების წინაპირობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები, სასწავლო პროცესის მართვის წესი და პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები. დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში განსაზღვრულია სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურები, რომლებიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებების იდენტიფიცირების, ინდივიდუალური შემთხვევების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. აღნიშნული მექანიზმები ქმნის პროფესიული სტუდენტების ინტერესებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ორგანიზების წინაპირობას.
3. პროგრამის დოკუმენტაციის, მოდულების აღწერებისა და მატერიალური რესურსების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებისას განსაზღვრულია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება.
4. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მარეგულირებელი დოკუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფის მექანიზმები.

   დოკუმენტაციის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტისთვის შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, სასწავლო პროცესისა და რესურსების შესაბამისი ადაპტირება, ასევე დამატებითი მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვა პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით.

   ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებაში განსაზღვრული მექანიზმები ქმნის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების წინაპირობას.
5. პროგრამარ არ მოიაზრებს პრაქტიკის ობიექტის ჩართულობას, სრულად ხორციელდება იმიტირებულად (დისტანციური ფორმით)
6. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში დაათვალიერა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული სასწავლო გარემოები და გაეცნო შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი თეორიული და პრაქტიკული სასწავლო სივრცეები აღჭურვილია პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა დაწესებულებაში მოქმედი შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციები, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხოების დაცვის მარეგულირებელი დოკუმენტები, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ევაკუაციის გეგმები. ინტერვიუების ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიული სტუდენტები გაივლიან უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს პროგრამის სპეციფიკის შესაბამისად, ხოლო პრაქტიკული მოდულების განხორციელებისას უზრუნველყოფილი იქნება შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის განხორციელებისთვის შექმნილია უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის წინაპირობები, რაც შეესაბამება პროგრამის სპეციფიკასა და ინდიკატორის მოთხოვნას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული პროგრამა;
2. დისტანციური სწავლების წესი
3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
4. სასწავლო გარემოს / აუდიტორიების დათვალიერების შედეგები;
5. გასაუბრების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა, მოდულების შეფასების მიდგომები და შეფასების მარეგულირებელი დოკუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ შეფასების სისტემა აგებულია სწავლის შედეგებზე დაფუძნებული შეფასების პრინციპებზე და განსაზღვრავს შეფასების ფორმებს, კრიტერიუმებსა და მტკიცებულებებს. შეფასების სისტემა ითვალისწინებს შეფასების გამჭვირვალობის, ობიექტურობის, სამართლიანობის, ვალიდურობისა და სანდოობის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რაც ქმნის პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურების წინაპირობას.

2.ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შეფასების სისტემასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტები. დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში განსაზღვრულია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს შეფასების პროცესის ხარისხის კონტროლსა და შეფასების შედეგების სანდოობის უზრუნველყოფის პროცედურებს. ინტერვიუების ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს ვერიფიკაციის განხორციელების წესი, პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი პროცედურები.

3.ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შეფასების შედეგების აღრიცხვის, დოკუმენტირების და შენახვის მარეგულირებელი დოკუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში განსაზღვრულია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, შეფასების მტკიცებულებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის აღრიცხვისა და შენახვის წესი, რომელიც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მათ შორის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში მათი შენახვის ვალდებულებას.

4.ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგების გამოყენებასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგების ანალიზისა და მათი შემდგომი განვითარების მიზნით გამოყენების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტისთვის უკუკავშირის მიწოდებას, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვასა და ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებას. ვინაიდან ავტორიზაციის ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირველადი განხორციელებისთვის არის წარმოდგენილი, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა დაწესებულებაში განსაზღვრული მექანიზმის შესაბამისობა და არა მისი პრაქტიკაში გამოყენების შედეგები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული პროგრამა;
2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
3. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
4. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

დანართი 2. დაწესებულების დირექტორის მიერ - *2026 წლის 14 აგვისტოს №00016678 ბრძანებით დამტკიცებული* **"შესაბამისობის გეგმა"**

21.08.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: